№ 2899
ხუთშაბათი,
1 სექტემბერი

# ცნობის ფურცელი

№ 2899
ხუთშაბათი,
1 სექტემბერი

ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ექვსის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

კნეინა ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვარი შვილებითურთ და ნატალია გივის ასული ტერიაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასს და საყვარელ ქმრის, მამის და ძმის გენერალ-ადიუტანტის

## თავ. ივანე გივის ძის ამილახვრისას,

რომელიც მოხდა ქ. გორში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 27 აგვისტოს საღამოს 6 საათზე. ცხედარს გორიდან ტფილისში მოასვენებენ 31 აგვისტოს. 1 სექტემბერს, დილის 9 საათზე, ვოგზლიდან პროცესია გაემართება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება (1—342—1)

კნ. ელენე გრიგოლის ასული ციციშვილისა და ბესარიონ სოლომონის ძე ზილდასტანიშვილი უგულითადეს მადლობას უძღვნიან იმ პირთ, რომელნიც ინებეს და გამოუცხადეს პირადათ თუ წერილობით თანაგრძნობა და ნუგეში სცეს ეკატერინეს, პირველის შვილის და უკანასკნელის მეუღლის, დაკარგვის გამო. (1—03846—1)

უგულითადეს მადლობას ვსწირავ ყველას, ვინც დეპეშებით, წერილებით თუ პანაშვიდის გადახდით თანაგრძნობა გამომიცხადეს და მანუგეშეს იმ აუტანელ მდგომარეობაში, რომელიც მომაყენა მწარე ბედმა ჩემის საყვარელის ქმრის სოსოს გარდაცვალებით. ქვრივი ე. დ. მოზდოკლიშვილისა. (1—1)

ქუთაისში თ. გ. მაჭავარიანის კერძო
საქალებო პროგიმნაზიაში
მისაღები ეგზამენები დანიშნულია ენკენისთვის 5-ს. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 9. სწავლის ფული წლიურათ ოცი მანეთი. მთხოვნელნი შეუძლიანთ მიმართონ სასწავლებლის გამგეს მის ბინაზე, ლევაშოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. (3—1)

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული
დრამატიული კურსები
ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.
კურსი 3 წლისაა. საგნები, რომლებსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.
მიღება 20 აგვისტოდან ყოველ დღე 12-დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.
პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. კურსებთან არსებობს სცენა.
(20—319—13) კურსების დამაარსებელი ს. მ. დოლუხანოვისა

◆ საკაცო პროგიმნაზია ავლაბარში ◆
ამ სამოსწავლო წლის დამდეგიდან ავლაბარში გაიხსნება ვაჟთა სამინისტრო პროგიმნაზია; ამ ჟამად იხსნება ორი მოსამზადებელი, I და II ძირითადი კლასები. ვისაც ჰსურს მიაბაროს სასწავლებლად თავისი ბავშვი ამ პროგიმნაზიაში, უნდა მიმართოს თხოვნით და თან დოკუმენტები წარუდგინოს ინსპექტორს. თხოვნა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 11—1 საათამდე ავლაბარში, პროგიმნაზიის სადგომში, როზოვის მოედანზე, ნუნუფაროვის სახლში.
სწავლის გადასახადი წელიწადში 40 მანეთი. სწავლის და ეგზამენის დაწყების დრო შემდეგ იქნება გამოცხადებული. (3—6.—1)

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
თეთრი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება მასზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ ვაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ. საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს საყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—93)

ამ ინსტრუქციის მე-2 და 5 მუხლების ძალით, რომელიც ეხება მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებებს და სათათბიროებს **ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების** შესახებ მოსალაპარაკებლად და თანახმად ტფილისის გუბერნატორის მოწერილობისა, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ნ. ა. თუმანიშვილი იწვევს გორის მაზრის ყველა კერძო მემამულეს, რომელიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნის, აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების პატრონთ და იმ საკუთარ გლეხებს, რომელთაც სანადელო მიწების გარდა აქვთ ნაყიდი მიწები, მობრძანდნენ 3 სექტემბერს, დილის 10 საათზე, გორის მაზრის კანცელარიაში, სადაც მოხდება წინასწარი და საარჩევნო კრებები წარმომადგენელთა ასარჩევლად სამაზრო საბჭოში. ეს საბჭო განიხილავს საკითხს საერობო დაწესებულებათა შემოღებისას ამიერ-კავკასიაში. კერძო მოწვევის ბარათები არავის დაეგზავნება. (3—6.—2)

სკოლა-პანსიონი და საბავშვო ბაღი
ბუგაევსკი-ერისთავისა.
გადავიდა ქსენიის ქუჩაზე, № 5, სახლი გოკიელოვისა, „ვერცხლის" სასტუმროს გვერდზე (კუთხე მიხეილის და ქსენიის ქუჩებისა) მიიღებს მოსწავლე-პანსიონერებს, ნახევარ პანსიონერებს და გარედან მოსიარულეებს. ამზადებს საშუალო სკოლების დაბალ კლასებში. ასწავლიან ახალ ენებს. ცეკვა და მუსიკა.
ბავშვების მიღება 24 აგვისტოდან.
(3—327—3)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და ბოდის მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 16.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—29)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—10).

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—20)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—10)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—2)

## 29 აგვისტოს მომხდარი უბედურება

29 აგვისტოს საღამოს ტფილისში მომხდარ უბედურების შესახებ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ოფიციალური ცნობები მივაწოდოთ მკითხველო: 1) 30-ს შუადღისას ქალაქში გაკრული იყო კედლებზე და სვეტებზე შემდეგი ოფიციალური განცხადება ტფ. გენ.-გუბერნატორისა:

„29 ამა აგვისტოს, საღამოს მეცხრე საათზე, მუშათა და ახალგაზდათა ბრბო შეიკრა საბჭოს დარბაზში, სადაც არავითარი კრება არ ყოფილა დანიშნული. როცა ეს გენერალ-გუბერნატორმა გაიგო, მაშინვე სთხოვა ქალაქის მოურავს მიიღოს ღონისძიებანი ხალხის გასაძევებლად ქალაქის სახლიდან; ამაზე ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ თავის ძალ-ღონით არ შეუძლია ხალხის გაძევება და რომ ასეთი შეკრებულობა მას მიაჩნია თვითმმართველობის შეურაცხებად. მაშინ გენერალ-გუბერნატორმა უბრძანა პოლიციას გაეწმინდა დარბაზი ხალხისაგან. ამისათვის დარბაზში შევიდა ადგილობრივი ბოქაული, რომელიც ბრბომ გარეთ გამოაგდო. ამის გამო განკარგულება მისცეს პოლიციას, ხალხი სამხედრო ძალით გამოერეკა სახლიდან და იქ გაიგზავნა პოლტავის ყაზახთა პოლკის მესამე სოტნის უფროსი. სოტნის უფროსი დარბაზში შევიდა და გენერალ-გუბერნატორის სახელით წინადადება მისცა ნება-დაურთველად შეკრებილთ, დაუყოვნებლივ გასულიყვნენ დარბაზიდან; ამასთანავე პირობა მისცა გენერალ-გუბერნატორისავე მინდობილებით, რომ, თუ კრება ბრძანებას დაემორჩილება, არავინ არ იქმნება დატუსაღებული. შეკრებილებმა ამაზე ყვირილითა და ხმაურობით გასცეს პასუხი, და, თუმცა დარბაზიდან გასვლა დაიწყეს, მაგრამ ამავე დროს ყაზახებს რევოლვერების სროლა დაუწყეს; ამავე დროს ეზოდან და ქუჩიდან რევოლვერები დაუშინეს საბჭოს ფანჯრებს; ზოგიერთებმა შეანგრიეს ლომბარდის კედელი, იქიდან დაუწყეს სროლა ყაზახთ და მძიმედ დასჭრეს ერთი ყაზახი და ერთი [illegible]. ამის გამო ყაზახებიც იძულებულნი გახდნენ თოფის სროლა აეტეხნათ ხალხისათვის. წესიერების აღდგენის შემდეგ აღმოჩნდა ოცდასამი მოკლული და ორმოცდა-ათამდე დაჭრილი; რამდენსამე ბლოკს პოლიციამ იპოვნა მრავალი პროკლამაცია. ყველაფერი ეს გენერალ-გუბერნატორის თვალ-წინ მოხდა".

2) „კავკაზ"-ის გუშინდელ №-ში შემდეგ ამბებს ვკითხულობთ: „30 აგვისტოს ნაშუადღევის 1-ლ საათიდან $3^1/_2$-მდე კერძო კრება ჰქონდათ ტფ. ქალაქის საბჭოს 30 ხმოსანს; კრებას მხოლოდ პრესსის წარმომადგენელნი დაესწრნენ. ირჩეოდა საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭო სამსახურიდან გადადგეს, რადგან ქალაქის სახლში 29-ს საშინელი სისხლის ღვრა მოხდა. ზოგი ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ მთელი საბჭო ეხლავ გადადგეს, სხვები ამის წინააღმდეგნი გახდნენ. კამათის შემდეგ გადაწყდა სხვა ხმოსნებიც მოიწვიონ და ყველამ ერთად დაადგინონ საბოლოო გადაწყვეტილება".

„მიხეილის საავადმყოფოში 30 აგვისტოს ესვენა 29 აგვისტოს მოკლული, სულ 26 გვამი. მკვდრების გამოსაცნობად ხალხს უშვებდნენ; შუადღემდე 16 გვამი დარჩა გამოუცნობი".

„მიხეილის საავადმყოფოში 29 აგვისტოს მიიყვანეს სულ 56 დაჭრილი; ამათგან 3 მოკვდა და 13 სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს. სულ პოლიციის ჩაწერილი ჰყავს 70-მდე დაჭრილი; მაგრამ ბევრი მსუბუქად იყო დაჭრილი და თვითონ წავიდა სახლში".

„29 აგვისტოს მომხდარ სისხლის ღვრის გამო ქალაქის მოურავი ხ. ა. ვერმიშევი სამსახურს თავს ანებებს. ხმოსანმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა და ზოგიერთ სხვა ხმოსნებმაც, ამავ სამწუხარო ამბის გამო, განუცხადეს ქალაქის მოურავს, რომ ხმოსნობაზე უარს ამბობენ".

## დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

27 აგვისტო

**ბელგრადი.** მემკვიდრე პრინცი აღიარებულ იქმნა სრულ წლოვანად. მეფემ აპატია ყველა პატიმარს, რომელთაც დაბრალდა მის უდიდებულესობის შეურაცხყოფა.

**მოსკოვი.** საგუბერნიო ერობის კომიტეტმა დაიწუნა ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი მცირე კრედიტის დებულებისა, რადგან მეტად ავიწროებს საერობო მოღვაწეობას.

**მინსკი,** ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში სრულის საერობო თვითმმართველობის შემოღება გადაწყდა.

**კიევი.** უნივერსიტეტში ეგზამენები იწყება 1-ლ სექტემბერს.

**ლონდონი.** ბაქოდან მოსულ ცნობის თანახმად, დღემდე ინგლისის ფირმების ზარალი ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კიდევ ერთხელ აცნობა ინგლისის ელჩს პეტერბურგში, მოითხოვოს რუსეთის მთავრობისაგან, რომ დაუყოვნებლივ მიიღოს სასტიკი ზომები ინგლისელთა პირთვნების და ქონების დასაცველად ბაქოში.

**კონსტანტინეპოლი.** დაბეზღების გამო გასჩხრიკეს რედაქციები „საბაჰ"-ისა და „თერჯუმანი ჰაკიკატი"-სა, პოლიციას ეგონა [illegible] იპოვნიდა, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა.

**ნიუ-იორკი.** მთავრობას ეშინია ხალხმა საწინააღმდეგო დემონსტრაციებით არ მიეგებოს სამხედრო მინისტრს ტაფტსა და რუზველტის ქალიშვილს, რომელნიც იაპონიის ნავთსადგურებში მოგზაურობენ.

**ტოკიო.** 25 და 26 აგვისტოს დღეებში ტოკიოს სიწყნარე ჩამოვარდა. 25-ს უწესოება მომხდარა კობეში, სადაც ხალხმა წააქცია მარკიზ იტოს ძეგლი და ქუჩა-ქუჩა ათრია.

28 აგვისტო

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება უმართ. სენატს: დაუდგინეთ გზრუნვით-რა უმაღლეს სასწავლებელთა განვითარებისა და მათში წესიერ ცხოვრების დამყარებისათვის, კეთილად ვცანით, სანამ ახალი წესდება გამოვცემოდეს, დროებითი წესები შემოვიღოთ. ეს წესები შეეხებიან: უნივერსიტეტებს, დემიდოვის იურიდიულ ლიცეის, სავეტერინარო და ტეხნოლოგიურ ინსტიტუტებს, მოსკოვის ტეხნოლოგიურ სასწავლებელს და ნოვო-ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. ეს დროებითი წესები შემდეგია: 1) უნივერსიტეტის საბჭოსა და ფაკულტეტებს ნება ეძლევათ აირჩიონ: პირველმა—რექტორი და მისი თანაშემწე, სადაც ეს უკანასკნელი თანამდებობა დაწესებულია, მეორეთ—დეკანები და მდივნები. არჩეულთ უნივერსიტეტი წარადგენს დასამტკიცებლად არსებულის წესითა და რიგით. 2) უნივერსიტეტებში ნაყოფიერ სწავლისა და წესიერების დაცვისათვის ზრუნვა ეკისრება საბჭოებს; ამისათვის ა) საბჭოს ან მის მიერ არჩეულ კომისიას ნება აქვს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი; ბ) თუ მიღებულ ღონისძიებათ ვერ გასჭრეს და უნივერსიტეტში მაინც მოხდა უწესოება, საბჭოს შეუძლიან გამოითხოვოს ნება სწავლის შეწყვეტისა ამა თუ იმ ვადით. უნივერსიტეტის ინსპექცია რექტორს ემორჩილება. სტუდენტების საქმეთა გარჩევა ეკისრება პროფესსორთა სასამართლოს თანახმად 1902 წ. 27 აგვისტოს წესდებისა. 3) ამ წესებით აღიარებული მოვალეობა-უფლებანი საბჭოსი და ფაკულტეტისა ვრცელდება ყველა ზემო აღნიშნულ სასწავლებელთა ორგანოებისათვის". ნამდვილზე საკუთარის ხელით აწერია: **ნიკოლოზ.**

**ტოკიო.** უწესოებანი გამართეს ბირჟის სპეკულიანტებმა, ყველაზე პრესსის წარმომადგენლებმა და საზოგადოთ შოვინისტებმა. პოლიტიკურ პარტიებს არ მიუღიათ მონაწილეობა არეულობაში. ეკლესიების დანგრევამ ხალხსა და პოლიციას შორის შეტაკება გამოიწვია. მთავრობა ენერგიულ ღონისძიებას იღებს. დღემდის შეწყვეტილია 6 გაზეთი, რომელნიც უწესოების მოხდენას უწყობდნენ ხელს. 245 საპოლიციო ბუდკიდან 228 გადასწვეს.

**ტოკიო.** იაპონიის პრესსა ემუდარება მიკადოს, ხელს ნუ მოაწერ მშვიდობიანობის პირობებსაო. აქ შიში აქვთ, რომ ჯარშიდა ფლოტში აჯანყება მოხდება. უწესოების დროს არც ერთი უცხოელი არც მოუკლავთ და არც დაუჭრიათ.

**ნიუ-იორკი.** როზენი კატეგორიულად უარჰყოფს იმ ხმას, ვითომც რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულებაში საიდუმლო პუნქტები იყოს.

**პარიზი.** გერმანიაში მიღებულ ცნობებიდან როგორც სჩანს, ტოკიოში მართლა დასცემიან თავს ინგლისის საელჩოს.

**ბუქარესტი.** საბერძნეთის ელჩი დროებით სამსახურს დაუთხოვა და აქედან წავიდა. ეს გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რუმინიასა და საბერძნეთის შორის მალე შეწყდება დიპლომატიური ურთიერთობა.

**ტოკიო.** ღამე უინციდენტოდ გავიდა. დილასაც მშვიდობიანობა არ დარღვეულა. ჰფიქრობენ, რომ უწესოება არ განმეორდება. გარეშე საქმეთა მინისტრმა საყოველთაოდ განაცხადა, რომ ზავის პირობათა თანახმად, მანჯურიასა და მდ. ტუმენზე სანეიტრალო ადგილები აღიარებენ; არც რუსეთისა, არც იაპონიის ჯარის მაშველი რაზმები ამიერიდან არ მიუვათ და ზღვაზედაც ყოველგვარი ოპერაციები მოისპობათ. დაწვრილებით პირობების შედგენა მიენდო ლინევიჩსა და ოიამას.

**ტოკიო.** პოლიციის უფროსი ტოკიოში გადაუყენეს. კობეში ისევ ძლიერი არეულობაა. პროვინციაში ზოგიერთ გაზეთებს აღარ გამოსცემენ. ტოკიოში ხუთი ახალი გაზეთი შეწყვიტეს. პროგრესისტები სარგებლობენ არეულობით, რათა გააძლიერონ თავისი გავლენა.

**ტოკიო,** 28 აგვისტო. გაზეთების გამოცემის შეჩერებანი და უცხო ქვეყნების დეპეშათა სასტიკი ცენზურა ჯერ არ მოსპობილა. ცნობაა მოსული, რომ გენერლებმა ნოგიმ და ნოძუმ სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი შეიტანესო.

**ათინა,** 28 აგვისტო. საბერძნეთსა და რუმინიას შორის დამოკიდებულება გამწვავდა იმ დემონსტრაციების გამო, რომელიც მოხდა ბუქარესტში, სადაც გაძარცვეს ბერძნების მაღაზიები და ჩამოგლიჯეს საბერძნეთის დროშა. საბერძნეთის მთავრობას განზრახვა აქვს მიმართოს სახელმწიფოებს ნოტით და აცნობოს ეს ამბავი.

**ტოკიო,** 29 აგვისტო. უცხოეთის მისიებს ჯარი აღარ იცავს, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ უწესოებანი აღარ განმეორდება და ქრისტიანეთა ტაძრებს აღარ დაერევიან. 28 აგვისტოს სრული მშვიდობიანობა იყო. დააპატიმრეს 150 კაცი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კობეში მომხდარ არეულობაში.

**კოპენჰაგენი,** 29 აგვისტოს. ძალიან მცირე იმედია, რომ შვეცია-ნორვეგიის საქმე მშვიდობიანად გათავდეს. შვეცია არ უთმობს ციხეების საკითხის შესახებ. ნორვეგია უთმობს, რაც-კი შესაძლებელია, მაგრამ თანხმობისათვის საჭიროა, რომ შვეციამაც დაუთმოს.

**ვაშინგტონი,** 28 აგვისტო. ჩინეთის მისია აცხადებს, რომ ჩინეთში შესდგება განსაკუთრებითი მისია იმ ზარალის გამოსაკვლევად, რაიცა მოუვიდა ჩინეთს ომის გამო. უკეთუ მეომარნი უარს იტყვიან ზარალის ანაზღაურებაზე, ჩინეთი ჰაგის სამართალს მიჰმართავს.

**კონსტანტინეპოლი,** 28 აგვისტო. მატარებლის დაძვრის წინად შეამჩნიეს ტორმუზების ცუდად მოქმედება. ინჟინერმა გასინჯა და ვაგონ ქვეშ ნახა დამალული კაცი, რომელიც მაშინვე შეიპყრეს. ის აღმოჩნდა ბოლგარელი მაკედონიელი. სულთანმა ინჟინერს 10,000 ფრანკი აჩუქა.

30 აგვისტო

**პეტერბურგი.** გაზეთი „რუსკ. ინვალიდ" უარჰყოფს ამბავს, ვითომ ოფიცრებს ნებას მისცემენ, სამსახურს გარეშე სამოქალაქო ტანისამოსი ატარონ.

გაზეთები იტყობინებიან, რომ საკითხი ამნისტიის შესახებ განსაკუთრებულ კომიტეტის მიერ იქნება განხილული. ამნისტია ოქტომბერ-ნოემბრამდის არ იქნება გამოცხადებული.

რკინის გზების წინადადება მიეცათ გადასინჯონ დღიურ მუშის ფასები სახელოსნოებში და ადგილობრივ პირობათა მიხედვით მოუმატონ ან მოუკლონ; გადასინჯვის შედეგი გზათა სამინისტროს უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად.

ამბობენ, რომ ბაქოში მომხდარ არეულობის დროს საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნილა 4 ინგლისელი: მათ მოკვლას უპირებდნენ, მაგრამ დროზე უშველია ინგლისის კონსულს და პოლიციას.

**პეტერბურგი.** ქალთა საქველ-მოქმედო საურთიერთო რუსეთის საზოგადოება შეეკითხა 400 საგუბერნიო და სამაზრო ერობათ და 120 საქალაქო თვითმართველობათ იმის შესახებ, თუ რა აზრისა არიან ქალთა საარჩევნო უფლებაზე საერობო და საქალაქო არჩევნებში და აგრეთვე სამსახურის უფლებათა გათანასწორებაზე მამაკაცთა და დედაკაცთათვის. ამ ჟამად თითქმის ყველა დაწესებულებას უპასუხნია; ბევრი ამათგანი იმ აზრისაა, რომ სრულიად უნდა გათანასწორდნენ ქალისა და კაცის უფლებანი; უმეტესობას-კი ამ საკითხის განხილვა განსაკუთრებულ კომისიებისთვის მიუნდვია.

**ლონდონი.** „ტაიმს"-ის სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც ნოგის არმიაშია, ტუანშუნტიადან იტყობინება: დღე-დღეზე უნდა მოხდეს ორისავე არმიის რწმუნებულთა თათბირი მორიგების პირობათა ასრულების შესახებ. მანამდის-კი რუსები, თეთრის ბაირაღის მფარველობის ქვეშ, დადიან იაპონელებთან სტუმრად და მეგობრულ განწყობილებას იჩენენ იაპონელთან; იაპონიის ჯარი ძალიან შეწუხებულია იმით, რომ არ დასცალდა კიდევ საბოლოოდ შებრძოლოდა რუსეთის მხედრობას; მაგრამ გარეშე მაყურებლისთვის ცხადია, რომ იაპონია კანონიერად მოიქცა და მშვიდობიანობა ამჯობინა ზედმეტ სიკვდილისა და სისხლის ღვრას. იაპონიის მხედრობის მთავარ ბინაზე ჰფიქრობენ, რომ მანჯურიიდან ჯარების გაყვანა აპრილამდე დასრულდება.

სამინისტროს წევრმა მარკიზ ლონდონდერიმ განაცხადა, რომ რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულება ამშვიდებს ინგლისს.

**ტოკიო.** გაზეთებს ისევ მისცეს ნება გამოსვლისა, გარდა „ასახი“-სა; პროვინციაში ზოგიერთი გაზეთი კიდევ არ გამოდის. ხმა არის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნება იამაგატა. ჯარი ბეჯითად იცავს წესიერებას ქალაქში. დღეს დილით ოსაკაში 30 ათას კაცამდე შეგროვდა. მიღებულ იქმნა რეზოლუცია, რომლით მთავრობას საყვედურს უცხადებენ ზავის პირობათა შეწყნარების გამო. მთავრობას ხელი არ შეუშლია კრებისათვის, რომელიც წყნარად გათავდა. არეულობამ შეაფერხა იაპონიის ვაჭრობა-მრეწველობა.

**ნიუ იორკი.** ხმა არის, რომ გადაწყვეტილია—იაპონიის მისსიები ამერიკასა და ევროპაში საელჩოებად გადაკეთდეს; აგრეთვე ამერიკის მისსიაც ტოკიოში საელჩოდ იქმნება შეცვლილი. აქაურ ფინანსიურ წრეებში მოელიან, რომ მალე რუსეთი გამოსცემს 500 მილიონის სესხის ბილეთებს. იაპონიას დასჭირდება 200 მილიონ იენამდე.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში 1906 წლისათვის შეტანილია თითქმის ორი მილიონი მანეთის კრედიტი სათათბიროსა და იმის კანცელარიის წარმოებისათვის.

ხმა დადის, რომ მანუხინი სტოვებს იუსტიციის მინისტრის თანამდებობას და ნაცვლად იმისა ინიშნება მინისტრთა კომიტეტის საქმეთა გამგე ნოლდე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიტანა სენატში წინადადება, რათა შეცვლილ იქმნას საერობო და საქალაქო საგუბერნიო საკრებულოს რამდენიმე დადგენილებანი, რომლებითაც საერობო კრებებსა და საქალაქო საბჭოებს, თანახმად 18 თებერვლის უმაღლესი ბრძანებისა, ნება ეძლეოდათ განეხილათ სახელმწიფო წესწყობილების შესახებ გუბერნატორების წინასწარ ნება დაურთველად ამ კითხვების შეტანაზე აღნიშნულ საკრებულოს პროგრამაში.

სენატმა განმარტა, რომ არა თუ რომელიმე ამორჩეულ თანამდებობის პირთა დაბოლოებული მოქმედება, არამედ ამ თანამდებობის დროებით შეცვლაც შეუძლებელია საქალაქო საზოგადო სამმართველოში გუბერნატორის ან გრადონაჩალნიკის ნება დაურთველად.

**ბერლინი,** 30 აგვისტო. ხოლერით ავადმყოფთა საზოგადო რიცხვი 161; დახოცილთა რიცხვი—68.

**ლონდონი,** 30 აგვისტო. ტოკიოდან მიღებული დეპეშა ირწმუნება, რომ ადმირალ ტოგოს ჯავშნიანი გემი დაიწვა და ჩაიძირა. ჯავშნიანი გემი „მიკაზა“-სთან, რომელზედაც ტოგოს დროშა ეჭირა, დაიღუპა 599 კაცამდის ხალხი. არა ჩანს, თვით ტოგო იმყოფებოდა თუ არა გემზე. დაწვრილებითი ცნობები არ არის. ჰფიქრობენ, რომ ჯავშნოსანი წყალში მცურავ ნაღმს წააწყდებოდა.

კაცურას სამინისტრომ სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა, რადგანაც საჭიროდ დაინახავს ეს ტოკიოში სამხედრო დროის წესრიგის შემოღებისა და მოძრაობისა გამო. მიკადომ პასუხით ურჩევს კაბინეტს, დარჩეს თავის თანამდებობაზე.

სადამოზე ტოკიოში ხალხის ბრბომ დემონსტრაცია გამართა ზავის წინააღმდეგ. მოხდა შეტაკება პოლიციასთან. ორმოცდა ათზე მეტია დაჭრილი.

**ნიუ იორკი.** 30 აგვისტო. ვიტტე მიემგზავრება გემ „კაიზერ ვილჰელმით“.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 აგვისტო

**ხიტიაზა,** 26 აგვისტო. ჩინელთა ოჯახები თავიანთ სახლებში ბრუნდებიან. ამინდი ძლიერ ცხელა. სადამოობით ცივა. ჩინელებმა ყველგან ყანების მკა დაიწყეს.

**ტოკიო,** 26 აგვისტო. პოლიცია იუწყება, უწესოების დროს ერთი კაცი მოჰკლეს და ერთი მძიმედ დასჭრეს. ხონიესა და ფუკაგავა-ს ნაწილებში 69 კაცი დაატუსაღეს შუადამის შემდეგათ.

დღეს დიდ პოლიტიკურ კრებაზე პირველ მინისტრ კაცურას განცხადებიდან ადმოჩნდა, რომ იაპონია დათანხმებულა, ლაპრუზას სრუტე ღია იყოს, მაგრამ ის პირობა-კი არ უკისრია, რომ ხსენებული სრუტე არ გაამაგროს. ეს განცხადება და რწმენა, რომ იაპონიის მოქმედებას სრული თავისუფლება ექნება კორეაში, ხელს შეუწყობს ხალხის დამშვიდებას.

**პარიჟი.** („ეკო დე პარი“). ინგლის-იაპონიის ხელშეკრულებას განსაკუთრებით მტკიცე ხასიათი აქვს და მრავალ საიდუმლო მუხლს შეიცავს. ხმა დადის, ერთი საიდუმლო მუხლი ინდო-ჩინეთის მთლიანობას შეეხება. „პტი რესპუბლიკ“-ი იუწყება, როზენი მეგობრულ თათბირის დროს ცდილობდა დაერწმუნებინა ეტიენ, რომ საჭიროა საფრანგეთი და ესპანია მაროკოში თანხმობით და მეზობლურად მოქმედებდნენ. „მატენ“-ი იუწყება, როზენმა და რიკუჯამ სადავო საქმეების განხილვა დაიწყეს.

**პეტერბურგი.** 26 აგვისტო. დღეს პეტერბურგის ოლქის სამხედრო სასამართლომ სამხედრო წოდებისა და უფლების აყრა და გადასახლება გადაუწყვიტა მე-91 ქვეითა დვინსკის პოლკის სალდათებს ეგიმოვსა და შეტროვს, რომელთაც ჩბრ[illegible]დებოდათ მთავრობის [illegible] პროპაგანდა თავიანთ პოლკის სალდათებში.

**ტოკიო.** დაინტერესებული პირნი საჩივრის შეტანას აპირებენ დანგრეულ ეკლესიებისა და უცხოელთა ქონების განადგურებისათვის. შუადამდე ქალაქი წყნარად იყო. განაპირა უბნებიდან ცნობა მიუღია, რომ დამითა და დილით ადრე უწესოება მოხდა. მთავრობამ ხუთი გაზეთი შეაჩერა. მთავრობა და ხალხის ნაწილი სინანულს გამოსთქვამს ეკლესიებზე დაცემის გამო, ეს დაცემა შემთხვევით მოხდა და არა ანტიქრისტიანულ გრძნობის გამო.

**პეტერბურგი,** 27 აგვისტო. დღეს გარეშე საქმეთა სამინისტროში ბელგიამ და რუსეთმა ერთმანეთს მოუცვალეს დამტკიცებული კონვენცია საქმეების სავალდებულო სამედიატორო გარჩევის შესახებ.

**ტოკიო.** არა ოფიციალურად. კაცურასა და იაპონიის ორსავ საკანონმდებლო პალატის წევრთა თათბირის დროს კაცურამ შემდეგი გამოაცხადა ზავის პირობებზე: ის ცნობა, ვითომ ლაპრუზის სრუტე გაუმაგრებელი დარჩება, საფუძვლიანად მოკლებული. რუსეთს მხოლოდ დავპირდით, რომ სრუტე ღია იქნება. იაპონიამ სუვერენიტეტის უფლება შეიძინა მთელს კორეაზე და მოქმედების სრული თავისუფლება ამ ნახევარ კუნძულზე. რკინის გზა ჩანჩუნის (კუანჩენძი) სამხრეთით დაეთმო იაპონიას და არა ჩანტუს სამხრეთით. ფუშანისა და იანტაის ქვანახშირის მადნები იაპონიის ხელში იქნება ჯარის გაყვანის შემდეგაც. ადმირალმა იამამოტომ გამოაცხადა, თუმცა საზავო პირობამ ხალხი არ დააკმაყოფილა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ვლადივოსტოკის აღება მეტ მსხვერპლს მოითხოვდა, ვიდრე პორტ-არტურის აღება. რუსეთი უეჭველია ძლიერ ფლოტს გააჩენს. ჩვენ უნდა მოვემზადნეთ და შესაფერისი ღონისძიება მივიღოთ.

**ბერლინი,** 27 აგვისტო. გრაფი გეცენი დეპეშით იუწყება, რომ ლანგენბურგის ოლქიდან მიღებულ მოხსენებიდან სჩანს, რომ იქ განგონის ტომი აჯანყებულა.

**თეჰრანი.** ბაქოში მომხდარმა სომხებისა და მუსულმანების შერიგებამ აქ სასიკეთო შთაბეჭდილება მოახდინა. შერიგება შეაჩერებს სომხების ამოჟლეტას ჩრდილოეთ სპარსეთის ქალაქებში, რისთვისაც ემზადებოდნენ კიდეგაც თათრები. ადგილობრივი ვაჭრები მოსკოვის მუშების გაფიცვას უჩივიან, რადგან გაფიცვა შეგვიანებით საქონლის დროზე ჩაბარებას უშლის ხელს. ისპაჰანსა და ქირმანში ძლიერ თხოულობენ რუსის მანუფაქტურას.

**ვარშავა.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით „ვეჩერნი კურიერი“ დაიხურა, სანამ სამხედრო წესები იქნება ძალაში.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** ბაზარზე შემდეგი დეპეშები მოუვიდა ბაქოდან: დამით არტილერია მოქმედებდა. როცა დეპუტაცია გუბერნატორთან მიდიოდა, ნავთის მწარმოებელი დაიღუპა. ნოვგოროდის ნავთის მწარმოებელ საზოგადოების რწმუნებული ჩერნოვი მუშებთან ერთად მანქანაში გაიქცა თავის გადასარჩენად და იქ, როგორც ჰფიქრობენ, დაიღუპა.

**მინსკი.** სადგომის გადასახადის მხდელთაგან მხოლოდ ოთხს ექნება მონაწილეობის მიღების უფლება სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევანში.

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან: ტრანსპორტ „კამჩატკა“-დან, რომელიც ცუსიმას ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და მთელის თავის ეკიპაჟით (მეზღვაურებით) დაღუპულად ითვლებოდა, 41 კაცია გადარჩენილი და ეხლა იაპონიაში იმყოფებიან ტყვედათ.

**ნიუ-იორკი.** „ნიუ-იორკ ტაიმს“-ი ტოკიოში მომხდარ ამბებს იხილავს და ამბობს, იაპონიამ ყველაფერი მიიღო, რაც ძალით დაიჭირა და რისიც უფლება ჰქონდათ. ინგლის-იაპონიის კავშირის თაობაზე გაზეთი სწერს: თუ იაპონია დაუბრუნებს ჩინეთს, რაც რუსეთს გამოართვა, თუ ინგლისი ვეიხაივეის დაუბრუნებს ჩინეთს და თუ ჩინეთი კიაო-ჩაოს დაბრუნებას მოითხოვს, გერმანია იძულებული იქნება ეს ციხე დასტოვოს. ინგლის-იაპონიის კავშირ პირობა თვით პეტერბურგშიაც არ ეინტერესებათ, როგორც პარიზში ეინტერესებათ.

**პარიჟი.** „ჟურნალ“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ 27 აგვისტოს გარეგანი სიწყნარე აღდგენილი იყო, თუმცა კიდევ რამდენიმე პოლიციის ნაწილი დაანგრიეს და დაერიენ რუსის ეკლესიას, რომლის ნაწილი დაიწვა. ხალხი ბეჯითად თხოულობს სამინისტროს გადადგომას.

**შანხაი,** 27 აგვისტო. ტოკიოში რამდენიმე გაზეთი შეაჩერეს. უკმაყოფილება უცხოელთა წინააღმდეგ ძლიერდება. შანხაიში სასტუმროები სავსეა იაპონიიდან გამოსულ ინგლისელებითა და გერმანელებით. ამბობენ, იაპონიის ელჩს პეკინში უმიდას მალე იაპონიაში გაიწვევენ.

**მარსელი,** რუმინი გრიმბერგი, ავსტრიელი ლაზარი და რუსეთის ქვეშევრდომი ფრანკი პაშახი, რომელთაც ქალებით ვაჭრობა ჰბრალდებათ, დაატუსაღეს იმ დროს, როცა სამხრეთ-ამერიკას დააპირეს წასვლა.

**შახტი.** სამი კვირაა ხმა დადის, რომ იქაურ ოლქსა და მეზობლად ჩინეთის პროვინციებში იაპონელი ჯაშუშები მიდიან. ერთი ჯაშუში ამ დღეებში ხაისანის მაზრაში დაიჭირეს და ომსკში გაგზავნეს.

**გოძიადანი,** 27 აგვისტოს. დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ჩვენ პოსტთან რკინის გზის ახლო იაპონელთა პარლამენტერი მთავარ შტაბის აფიცერი მოვიდა თეთრის ბაირაღით და 50 ჯარის კაცის თანხლებით. პარლამენტერმა ჩვენის მთავარ-შტაბის აფიცერს, რომელიც წინ მიეგება, მაშინვე თავისი წერილი ჩააბარა რუსის მთავარ სარდლისათვის. ამ წერილში მარშალი ოიამა სალამს და მილოცვას უთვლის გენ. ლინევიჩს ზავის ჩამოგდების გამო და სთხოვს, რუსეთის მხრივ რწმუნებული დანიშნეთ დროებით შერიგების ჩამოსაგდებადაო. თავის მხრივ მარშალმა ოიამამ გენერალი ფუკუშიმა დანიშნა და ითხოვა ორსავ რწმუნებულთა შეხვედრისათვის სადგური შაზეტოდ ავირჩიოთო.

**ტოკიო,** 26 აგვისტო. („რეიტერი“) „ნიჩი-ნიჩი შიმბუნ“-მა დაბეჭდა მარშალ იამაგატასთან საუბარი ომზე. იამაგატა ამტკიცებს, რომ უთანხმოება საზავო პირობაზე აუცილებელი იყო, მაგრამ ხალხს მაინც უნდა ახსოვდეს, რომ რუსეთი მზად იყო ომის განსაგრძობად და იმედი არ იყო, რომ იაპონია შემდეგ მსხვერპლისა და ხარჯის შემდეგ მიიღებდა სამხედრო საზღაურს. სამხედრო მოქმედების მოსპობა ხელს შეუწყობს იაპონიის განვითარებას, ომის გაგრძელება-კი იაპონიას მხნეობასა და ფულს გამოულევდა.

პროგრესიულ პარტიის საბჭომ კრება მოახდინა. კრებამ დაადგინა, მთავრობამ პასუხი უნდა აგოს დამამცირებელ ზავის ჩამოგდებისათვის. 26 აგვისტოს საელჩოს დამცველები მოაშორეს, დაცემის შიში აღარაა. ბევრ ქალაქში მოხდა კრება ზავის პირობის გასაკიცხად. ყველანი ჰფიქრობენ, რომ კაცურას სამინისტრო პირველ სხდომის შემდეგ, გადადგება სამსახურიდან.

**ტოკიო,** 28 აგვისტო. მარკიზმა იტომ უარი სთქვა სამხედრო დამცველ რაზმზე. ქალაქში სრული სიწყნარეა, ქუჩებში სალდათები დგანან. პარკი სავსეა კარვებით და ბანაკს ჰგავს. ბევრს ქალაქში ხალხმა დემონსტრაცია მოახდინა პოლიციის წინააღმდეგ. პოლიციის უფროსი ტოკიოში და შინაგან საქმეთა მინისტრი იოშიკავა, რომელთაც ხალხი გაბრაზებს პარკში მომხდარ ინციდენტისა გამო, სამსახურიდან გადადგნენ. ტოკიოში აკრძალულ გაზეთებს ისევ მიეცა გამოსვლის ნება. სამი პროვინციალური გაზეთი შეაჩერეს. ხმა დადის, გენერლები ნოგი და ოკუ სამსახურიდან გადადგნენო.

**ნიუ-იორკი,** 23 აგვისტო. კომურა მოულოდნელად ცუდად ავად. ნაწლევები სტკივა. ექიმები საშიშრად არა სთვლიან ავადმყოფს.

**გოძიადანი.** რწმუნებულად დროებით შერიგებაზე მოსალაპარაკებლად დაინიშნა: მთავარ სარდლის შტაბის გენერალ-კვარტირმეისტერი ორანოვსკი.

**ჰელსინგფორსი,** 28 აგვისტო. ბოტნიკურ ყურეს ულებორგ კუნძულზე, ქალაქ კემიდან სამს კილომეტრზე—ტამოჟნის მოხელეებმა იპოვეს 660 თოფი შტიკით, რომელიც 33 ყუთში იყო ჩაწყობილი და 22 ათასი პატრონი 60 ყუთში. თოფები 10-მილიმეტრის ყალიბისაა, [illegible]. [illegible] გამოძიებას აწარმოებენ.

28 აგვისტო

**პეტერბურგი.** 29 აგვისტოს ბაქოში წავიდნენ ზარალის რაოდენობის გამოსარკვევად ფინანსთა მინისტრის მიერ გაგზავნილი გადასახადთა ნაწილის რევიზორი ნარდოვი და სამთო დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ივანოვი. იმედი აქვთ, რომ ორ კვირაში გაათავებენ საქმეს. დაბრუნებისას პეტერბურგში, მოხდება თათბირი საჭირო ღონისძიებათა შესამუშავებლად.

**ახსაბადი,** 29 აგვისტო. ამიერ-კასპიიდან მოსულ ამბებისა გამო, 29 აგვისტოს აქ მოხდა სომხებისა და თათრების კრება საჭირო ზომების მისაღებად. შეადგინეს ქაღალდი და ზედ რამდენიმე ასმა კაცმა მოაწერა ხელი. ამ ქაღალდით სომხებმა და თათრებმა პირობა მისცეს ერთმანეთს, პოლიციას გადასცენ ისინი, ვინც ეცდება ორ ერის წაკიდებას.

**მოსკოვი,** 29 აგვისტო. ნოქრებმა, გრადონაჩალნიკის ნებართვით მაღაზიებს ჩამოუარეს და მოითხოვეს დღესასწაულებში დაკეტვა.

**მინსკი,** 29 აგვისტო. საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ დახურა 140 სკოლა წერა-კითხვისა. მიზეზი ის არის, რომ შემცირდა ფული სამრევლო-საეკლესიო სკოლების შესანახად.

**ტავასლეგუსი.** 28 აგვისტოს, სადამოთი, როდესაც გუბერნატორი პაპკოვი პოლიცმეისტერთან ერთად სახლში ბრუნდებოდა, ვიღაცამ ბაღიდან ქვემ დურსმებით გატენილი ყუმბარა შეაგდო. ყუმბარა რამდენჯერმე გავარდა, მაგრამ სულ არ გასქდა და ვნება არავის მოაყენა.

**ტოკიო,** 29 აგვისტო. შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელმაც ქაღალდი შეიტანა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, უარს ამბობს ქაღალდის უკან წაღებაზე. ფიქრობენ, რომ ბოლოს იგი მაინც დარჩება. მოხდა საკანგებო კრება საიდუმლო საბჭოსი მინისტრთა იმ ანგარიშების მოსასმენად, რომელიც შეეხება ზავის შესახებ მოლაპარაკებას და იაპონიაში საქმის ვითარებას. ოსაკაში დღეს დიდი მიტინგი მოხდა. ფიქრობენ მიტინგი თავის რეზოლუციაში გაჰკიცხავს მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას.

**ბაქო,** 29 აგვისტო. დაიწვა ინგლისელთა სამრეწველოები. სამრეწველოების გამგეობამ ეს ამბავი აცნობა ინგლისში ბალფურს, რომელიც ამის თაობაზე გამოელაპარაკა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს და სთხოვა ინგლისის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა. სანავთო საზოგადოებანი აცხადებენ, იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გემების მიმოსვლა, რადგან ნავთი არ არისო. გაჩერდებიანო აგრეთვე ის რკინის გზები, რომელნიც ნავთს ხმარობენ. ამ საქმის გამო მალე თათბირი მოხდება.

**ტოკიო.** ომის ასპარეზზე მანჯურიაში 27 აგვისტოს შეტაკება მოხდა. რუსის ორმა ქვეითმა როტამ იერიში მიიტანა იაპონიის რაზმზე, მაგრამ შეიწროებულ იქნა უკანასკნელის მიერ. რუსებს 4 კაცი მოუკლეს.

**გოძიადანი,** 29 აგვისტო. დღეს მთავარსარდალმა საპასუხო წერილი გაუგზავნა მარშალ იამას, რაშიაც ის თანხმობას აცხადებს რწმუნებულ გენერლების ორანოვსკის და ფუკუშიმას შეხვედრაზე დროებითი ზავზე მოლაპარაკების შესახებ.

**ბერლინი.** „ლოკალ-ანძაიგერ“-ის აზრით, იაპონიის ადმინისტრაციაში დიდი ცვლილება მოხდება, რაითა ოპოზიციის უკმაყოფილების მოსპობა სურს მთავრობას. ხალხის მღელვარება გაძლიერდა მთავრობის მიერ კონსტიტუციის პრინციპის შელახვის გამო. უეჭველია, მთავრობა იძულებული იქნება დაუთმოს ხალხის სურვილს.

**ასტრახანი.** „ნობელ“-ისა და აღმოსავლეთის საზოგადოება „მაზუთ“-ის და სხვა დიდ ფირმების კანტორები აღარ აძლევენ მაზუთს გემების პატრონებსა და მექარხნეებს, რომელნიც პირობით არ არიან შეკრული ზემოხსენებულ ფირმებთან, რადგანაც იმდენი მაზუთიღა-კი აღარ არის, რომ მიცემული პირობა შეასრულონ. რადგანაც ბაქოდან მაზუთი აღარ მოდის, გემების პატრონების უმეტესობა იძულებული იქნება შეაჩეროს გემების მოქმედება და დაითხოვოს კომანდა და ათასი მუშები, რომელნიც უხელსაქმოდ დარჩებიან. გუბერნატორმა იშუამდგომლა ფინანსთა მინისტრის წინაშე—აიძულოს ნავთის დიდი მრეწველნი დაუყოვნებლივ გამართონ ასტრახანში გასაყიდი მასალის საწყობი, სადაც 600 ათასი ფუთის მოთავსება შეიძლებოდეს საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

**ტოკიო,** 30 აგვისტო. ოსაკაში გამართულ კრებაზე შემდეგი რეზოლუცია შეიმუშავეს: „ზავმა მისთა გამარჯვების ნაყოფები და ამზადებს ნიადაგს მომავალში საქმის გართულებისა და საფრთხისთვის. მთავრობის მიერ კონსტიტუციის პრინციპის შელახვამ [illegible] სატახტო ქალაქში წესიერების დარღვევა მოიტანა. სახელმწიფოს პატივს ჩრდილი მიადგა, კონსტიტუცია შელახულია. ამისთვის კრებას იმედი აქვს, რომ დამამცირებელი ზავი დარღვეულ იქნება, მთავრობა-კი თავს გაანებებს სამსახურს“. კრებას დაესწრო ასი ათასი კაცი სახელმწიფოს სხვა და სხვა კუთხიდან. იგ სიტყვაზე მეტი წარმოითქვა. პოლიციის ჩარევაც არ იყო. იოშიკავას უარი უთხრეს სამსახურიდან გაშვებაზე. ჩვეულებისამებრ მინისტრთა კაბინეტმა წარუდგინა მიკადოს ოფიციალური მოხსენება, რაც [illegible] მის შესახებ და სთხოვა, საჭიროა თუ [illegible] გასვლა სამსახურიდან. [illegible] დღეს გასცა პასუხი მინისტრებს და [illegible]ვს მათ სამსახურში დარჩენას.

**ბერლინი.** გუშინ სადამოს ბუგენჰაგენის ზალაში 2 ათასზე მეტმა ხალხმა კრება მოახდინა დეპუტატ კამპის თავმჯდომარეობით პროტესტის გამოსაცხადებლად ხორცის კრიზისის გამო. მკაცრი რეზოლუცია დაადგინეს სასოფლო მეურნეობის მინისტრის წინააღმდეგ და მოითხოვეს, რომ მთავრობამ საზღვარზე საქონელი და ხორცი უბაჟოდ გამოუშვას. სამის დღის წინ 16 კაცი გახდა ავად და 6 გარდაიცვალა ხოლერისაგან. გუშინ 15 კაცი გახდა ავად და 6 გარდაიცვალა, სულ 161 გახდა ავად და 69 გარდაიცვალა. პროფესორმა გრაუკმ გამოაცხადა, მე პირადად დავრწმუნდი, რომ ავადმყოფობა რუსეთიდან ტივებით შემოიტანესო.

**ვარშავა,** 30 აგვისტო. ვარშავის ოლქის სასამართლოს მიერ გასამართლებული მარტინ კაპრუსკი იარაღით წინააღმდეგობის გაწევისა, ორის აფიცრის და ორის პოლიციელის მოკვლისათვის და აგრეთვე ხმელნიცკი სადგურის მოკვლის განზრახვისათვის ჩამოახრჩეს. პირველი—16 აგვისტოს, მეორე—18-ს.

**ბელოსტოკი,** 30 აგვისტო. დაჭრილ ბოქაულ სამსონოვს ტყვია ამოაცალეს.

**კოპენჰაგენი,** 30 აგვისტო. ინგლისის ესკადრა დღეს, დილით 10 საათზე ზღვაში გავიდა და ჩრდილოეთისაკენ გაემართა.

**პოლიბენი.** პოლიბენის მომეტებული ნაწილი დაიწვა.

**ოდესა,** 30 აგვისტო. ფრანგთა ბულვარზე მოიწვა საწყობები. ზარალი ეხლავე 500 ათას მანეთამდე ადის.

**ბათუმი,** 30 აგვისტო. მაჭახლიანთ ოლქში პროპაგანდა გამართული ქრისტიანობის წინააღმდეგ. ართვინის ოლქში [illegible] გაჩნდნენ. ბეჯითი ღონისძიებაა მიღებული.

**ბაქო,** 30 აგვისტო. გუშინ მაჰმადიანის სახლიდან ესროლეს პატრულს; თათრებს წინადადება მისცეს, იარაღი აეყრათ და ჩაებარებინათ, მაგრამ თათრებმა ხელ-ახლა ესროლეს, რის გამო არტილერიამ დაანგრია სახლი. ყველა იქ მყოფნი დაიჭირეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ჯარისა და მუშების შეტაკება იტალიაში.** როგორც ვიცით, ამის წინედ სიცილიაში პატარა ქალ. გრამიკელეში ჯარსა და მუშებს შეტაკება მოუხდათ. მუშები და გლეხები ადგილობრივ საქალაქო თვითმმართველობის შენობის წინ შეიკრიბნენ მშვიდობიან დემონსტრაციის მოსახდენად. დემონსტრაცია მუშების დიდი ხნის უსაქმობამ და გაჭირვებამ გამოიწვია. მუშების ორატორებიც უმთავრესად ამ საგანზე ლაპარაკობდნენ და აღტაცებული სიტყვები წარმოსთქვეს; ხალხი აღელდა და მმართველობის შენობისაკენ იმუქრებოდა. ქალაქის მამები შეშინდნენ და მაშინვე ჯარი მოითხოვეს. რაკი ჯარი მოვიდა, შეტაკება აუცილებელი შეიქმნა. მუშებს უბრძანეს, დაუყონებლივ დაიშალენითო, მუშებმა არ შეასრულეს ბრიყვული მოთხოვნილება და სალდათებმა თოფი ესროლეს. როცა სროლა შესწყდა, ძირს ათამდე მოკლული და ასზე მეტი დაჭრილი იწვა. ქალაქს შიშის ზარი დაეცა. სახლებისა და მაღაზიების სტავნები მაშინვე ჩაიკეტა. ხალხმა დაჭრილები საკაცით გაატარა ქუჩებში. ამ თავზარდამცემმა ამბავმა მთელი იტალია ააშფოთა. მეორე დღეს ვე გრამიკელეში სოციალისტი დეპუტატი დეფელიჩე მოვიდა ცნობების შესაკრებად, უნდა რომ მთავრობას ინტერპელიაცია წარუდგინოს. მთავრობა შეშინდა. პრეფექტის თანაშემწემ მთავრობას შემწეობა მოსთხოვა დაჭრილთა და მოკლულთა ოჯახებისათვის. სოციალისტებმა ხელის მოწერა გამართეს მთელს იტალიაში და ხელ-ახლად მოითხოვეს, საყოველთაო გაფიცვა მოვახდინოთ პროტესტის გამოსაცხადებლადაო. იტალიის პრესა პარტიების განურჩევლად ერთხმად ჰგმობს ჯარის მხეცურ მოქმედებას. მინისტრად ნამყოფმა მაჯორინო ფერარისმა, რომელსაც კარგად აქვს შესწავლილი მუშების მდგომარეობა სიცილიაში, „კორიერე დელა სერა“-ში გულწრფელი წერილი უძღვნა გრამიკელეში მომხდარ უბედურებას. დეფელიჩე სწერს: „გრამიკელეში მომხდარი საზარელი ამბავი განმარტოებული ფაქტი როდია. ეს სამწუხარო გაგრძელებაა ამნაირსავე საზარელ ამბებისა. სამხრეთ იტალიაში მთავრობა ჰყიდის პრეფექტებს და ჰყიდულობს დეპუტატებსაო,—ამბობს ხალხური ანდაზა. სიცილია სულ უპატრონოდაა მიტოვებული. რკინის გზები, შოსეები, სკოლები, სახალხო კრედიტი, პოლიცია—ყველაფერი მეტად საძაგლადაა მოწყობილი. ექვსის წლისაზე მეტის ხნოვანების 100 სულიდან 70-დან 78-მდე უსწავლელია. იმ პროვინციაში მეტად ბევრი მუშა ხელია, სამაგიეროდ საქმე არაა. იმის მეურნეობის ნაწარმოები ლპება, გარედ ვერ გადის, იმის მრეწველობას სრულებით არ შეუძლიან კონკურენცია გაუწიოს ჩრდილოეთ-იტალიასა და სხვა ქვეყნებს: ამავე დროს სიცილიაში, სადაც ნახევარ მილიონით ნაკლები მცხოვრები ითვლება, ვიდრე ლომბარდიაში, სადგომის გადასახადს 610 ათასი მცხოვრებელი იხდის, ლომბარდიაში—298 ათასი. იმიტომაა ასე, რომ სიცილიაში ისეთ საცოდავ თიხის სახლებსაც ადევთ გადასახადი, სადაც ხალხი ვირითა, ღორითა და ნოეს კიდობნის სხვა მცხოვრებლებთან ერთად ცხოვრებს. დასასრულ ავტორი გულ-მხურვალედ ურჩევს მთავრობას, სიცილიაში საჭირო რეფორმები მოახდინეთო. („რ. ვ.“).

**ზავის პირობა.** თუმცა სააგენტოს დეპეშები დღემდე თავს გვაბეზრებენ ტენდენციოზურ ცნობებით და ყოველ დღე რუსეთის დიპლომატიურ გამარჯვებას ქებათა-დიდებას ასხამენ, რუსულ პრესსის საუკეთესო ნაწილი უფრო და უფრო ბეჯითად ამტკიცებს, რომ პორტსმუტში იაპონიამ გაიმარჯვა ნამდვილად და ყველაფერი, რაც მოითხოვა, გაიტანა და არა რუსეთმაო. „სინ ოტეჩესტვა“ სწერს: რამდენიც ზავის პირობები ირკვევა, იმდენი უფრო ცხადად სჩანს, რომ რუსეთს სულაც არ გაუმარჯვნია დიპლომატიურად პორტსმუტში. თუმცა გვპირი[illegible] გამოვაცხადეთ, რომ იაპონიას არც ერ[illegible]ების დადგმა ადგილსა და არც ერთ გრ[illegible] არ დავანებებთო, მაგრამ ნამდვილად არა თუ დიდი და ძვირფასი ადგილი (სახალინის ნახევარი) დავუთმეთ იაპონიას, არამედ ბლომა ფულიც მივეცით. „ნაშა ჟიზნ“-ის ანგარიშით, ჩვენის ტყვეების შენახვაში იაპონიისათვის სულ ბევრი-ბევრი 20 მილიონი მანეთი უნდა მიგვეცა, პირობის ძალით კი 140 მილიონი მანეთი უნდა გადავუხადოთ. ასე რომ იაპონელებს 120 მილიონი მანეთი მეტი ეძლევათ და ამ ფულით თავიანთ სამხედრო ხარჯის ნაწილს გასტუმრებენ შეუძლიანთ; იმ უთვალავ მსხვერპლის გარდა, რომელიც ომს შესწირა, რუსის ხალხმა ყოველ წელს სულ მცირედ 6 მილიონი მანეთი უნდა ხადოს იაპონიის ხალხის სასარგებლოდ (6 მილიონი სარგებელია 120 მილიონისა)... დავრჩენ მძიმე პირობებზე ხომ აღარას ვამბობთ. თუ „სლ.“-ს მიერ გამოცხადებული საზავო ტრაქტატი სწორია, მაშინ ყურადღება უნდა მივაქციოთ მე-9 მუხლის რედაქციას. მთავრობის განცხადებაში 20 აგვისტოს ნათქვამია: „იაპონია იღებს სახალინის სამხრეთის ნაწილს, რომელიც ამ ჟამად უჭირავს, და მოვალეობას კისრულობს სამხედრო ღონისძიება არ მიიღოს კუნძულის სამხრეთ ნაწილში, იქ სიმაგრეები არ ააგოს და ლაპერუზას სრუტე ღია დასტოვოსო“. „სლოვო“-ს მიერ გამოცხადებულ საზავო ტრაქტატის მე-9 მუხლი ამბობს: „იაპონია მთა-

მა უზრუნველ ჰყოფს ლაპერუზასა და
რის სრუტეში გემების თავისუფალ მი-
ვლასაო. იაპონიის მთავრობას არ შეუ-
ან განა ერთსა და იმავე დროს ლაპე-
ას სრუტეს ორივე ნაპირიც გაამაგროს
ს იქ გემების სიარულიც უზრუნველ-
ს. მეტად სასურველია გამოირკვეს ეს სა-
რადგან სახალინის სამხრეთ ნაწილის
მობას უმთავრესად სტრატეგიული მნი-
ელობა აქვს".

აზეთის მოსაზრება მართალი გამოდგა-
ორც დეპეშებიდან ვიცით, იაპონიის
ელ მინისტრს კაცურას გამოუცხა-
ბ ორსავ საკანონმდებლო კრების
რთათვის: ის ცნობა, ვითომ ლაპერუ-
სრუტე გაუმაგრებელი უნდა დარჩეს,
უძვლის მოკლებულია, რუსეთს მხოლოდ
პირობა მივეცით, რომ გემებს ნება
ებათ თავისუფლად იარონ სრუტეშიო
ამას გარდა, კაცურას გამოუცხადებია:
ნის გზა იაპონიას ჩანჩუნის (კუანჩენძი)
ერეთით უნდა დაეთმოს და არა ჩანჩუ-
ს სამხრეთით, როგორც პირველად
ცნობეს დეპეშებმა. ჩანჩუნი დაახლოვე-
140 ვერსტის სიშორეზე მდებარეობს
ტუფუდან ჩრდილოეთით. ფუშუნისა
. ხუნხეზე, მუკდენის ახლო) და იან-
ის (ლიაოინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით)
ადარი ქვა-ნახშირის მაღაროებიც იაპო-
ს ხელში დარჩება მანჯურიიდან ჯარის
ყვანის შემდეგაცაო.

იმედია, კიდევ ბევრ ახალ ცნობას შე-
ტყობთ ზავის პირობებზე. („ს. ო.“).

## ახალი ამბავი

◆ 30 და 31 აგვისტოს მოხდა ტფი-ლისის ქალაქის საბჭოს ხმოსნების კრება. ხმოსნებმა გადასწყვიტეს, [illegible] 29 აგვისტოს მომხდარ ამბის გამო სამსახურს თავი გაა-ნებონ. საბჭომ აარჩია სამის კაცისაგან შემდგარი კომისია და იმას მიანდო ამის შესახებ დასაბუთებულ მოხსენების შედგენა.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურა-ვმა ქ. ა. ვერმიშევმა გუბერნატორს ქალა-ქის გამგეობიდან სამსახურიდან გადადგომის შესახებ. გუშინვე ვერმიშევმა ქალაქის გამ-გეობაში შეიტანა განცხადება, რომ ავად-მყოფობისა გამო მუშაობა არ შეუძლიან და სამსახურიდან იქმნას განთავისუფლებული 31 აგვისტოდანვე.

◆ 31 აგვისტოდან სამსახურიდან გადად-გა ტფილისის ქალაქის გამგეობა. გამგეობა დარჩება დროებით, ვიდრე ქალაქი აარჩევს ახალ ხმოსნებს, ხოლო ხმოსნები ახალს გამგეობას.

◆ გუშინდლიდანვე სამსახურს თავი გაანებეს ქალაქის საბჭოს კომისიების თავ-მჯდომარეებმა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავკასიის სახელმწიფო სათათბირო-ში სულ 27 წარმომადგენელი ეყოლება. უმაღლესს მთავრობას, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, უკვე გაუნაწილებია ეს რიცხვი გუბერნიებსა და ოლქებზე. ქუ-თაისის გუბერნიაში არჩეულ უნდა იქმნას 8 კაცი, ტფილისაში—3, ბათუმის ოლქში 1, ზაქათალისაში—1, ბაქოს და განჯის გუბერნიებში—სამ-სამი, ერევნის გუბერნიასა, დაღესტნისა და თერგის ოლქ-ში—ორ-ორი, ყუბანის ოლქში—5, ყარ-სის ოლქისა და ჩერნომორის გუბერნიაში—თითო.

◆ ლვანკითის ინციდენტის გამოძიება ვიცე გუბერნატორის ა. ყიფშიძის მიერ გა-თავდა იმითი, რომ უგანათლებულეს თა-ვადის ბაგრატიონის სახლში დაბინავებული სტრაჟნიკები სამართალში მისცეს.

◆ კავკასიის გზის ტიხორეცკის სადგურზე, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს მოუპარავს კუპონი 60,500 მანეთისა, ქურდი ტიხორეცკის მახლობლად დაუჭე-რიათ.

◆ ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ 29 ამ თვეს არხივის კერებისთვის გასაღები მოუყენებიათ და რვა ბერდანის თოფი წაუღიათ.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ხალ-ხებმა შეამდგომლობა აღძრეს ნამესტნი-კის წინაშე, ნება მიეცეს სომხობას, რუ-სის ოფიცრების მეთაურობით, შეიარაღე-ბული სადარაჯო რაზმები იყოლიონ. რაზ-მები სომხებში უნდა იყვნენ. ამ შეამდგომ-ლობის განხილვა ნამესტნიკმა დეპეშით თა-ვის საბჭოს დაავალა.

◆ ამ დღეებში ქუთაისში დაიწყება გა-დასახადთა ინსპექტორების კრება გლეხთა ხანადელთა მიწების გამოსყიდვის შესა-ხებ მოსალაპარაკებლად. კრება მოხდება ნამესტნიკის საბჭოს წევრის დეუნკოვსკის თავმჯდომარეობით.

◆ ბაქოში 20 აგვისტოდან პოლიციის გარდა არც ერთი დაწესებულება არ მოქ-მედებს.

◆ ბაქოში ვიღაცებს მოუკლავთ მეორე საპოლიციო უბნის ზედამხედველი კვაშა.

◆ ტფილისში არსდება გრადონაჩალ-ნიკობა. როგორც „ივერიის“ გაუგია, გრა-დონაჩალნიკად ინიშნება გენერალი სტა-ხოვიჩი. გრადონაჩალნიკს ეყოლება თანა-შემწე. პოლიცმეისტერის თანამდებობა დარ-ჩება, ხოლო იმის თანაშემწისა გაუქმდება.

◆ ყოველ დღე ბაქოდან დიდ-ძალი ხალხი იხიზნება. მიდიან ქალაქიდან უმ-თავრესად რუსები, სომხები, ქართველები და სხვები. არც საკვირველია; ცხოვრება ბაქოში საშინლად გაძვირებულია: გირვანქა ხორცი 30—40 კაპ. ფასობს, პური—10—15 კაპ., კომბოსტო—20 კაპ.

◆ სიღნაღის მაზრის ქვემო მაჩხაანის სოფლის საზოგადოების გლეხები: ზაქარია ჭუჭულაშვილი, ტიტიკო მენთეშაშვილი და იოსებ თამაზაშვილი, როგორც არა კე-თილ საიმედო პირები, უმაღლეს მთავრო-ბას ორენბურგის გუბერნიაში გადაუსახ-ლებია.

◆ ტფილისის პოლიციის მოხელენი ერთმანეთში ფულსა ჰკრებენ პოლიცმეის-ტრად ნამყოფის და ამას წინად უმხიროთ დაჭრილის კოვალევის სახელობაზე სტი-პენდიის დასაარსებლად ტფ. ვაჟთა პირ-ველ გიმნაზიაში.

◆ შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს, როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, შეამდგომ-ლობა აღუძრავს ამიერ-კავკასიაში საშუალო სამთო-სამრეწველო სასწავლებლის დაარ-სების შესახებ.

◆ როგორც ოზურგეთიდან გვატყობი-ნებენ, ლიხაურისა და შემოქმედის სოფ-ლის საზოგადოებებს საერო სამაზრო საბჭოში თავიანთ წარმომადგენლად ამორ-ჩევიათ თეოდორე კიკვაძე.

◆ სამი დღის წინად ბათუმიდან მომა-ვალ მატარებელში ავჭალის მახლობლად ერთმა კონდუქტორმა მოჰკლა კანტრა-ლიორი თავ. თუმანოვი. თუმანოვს უნ-დოდა რევოლვერი ესროლა კონდუქტო-რისთვის, მას წაურთმევია რევოლვერი, უსროლია და იქვე მოუკლავს.

◆ ტფილისის გუბერნატორის მოადგი-ლეს მოუთხოვნია მაზრის უფროსებისა და მომრიგებელ შუამავლებისაგან დაწვრილე-ბითი ცნობები პურის მოსავლის შესახებ.

◆ გორის მაზრის რამდენიმე სოფლის გლეხებს უთხოვნიათ მთავრობისთვის, შემ-ცირებულ იქმნას ამ წლის ხარჯი სასოფლო სკოლების შესანახად, ხოლო შემდეგში თვითონ ხაზინამ იკისროს მათი შენახვა. გლეხები სწერენ, რომ ჩვენ ისედაც ბევრი ხარჯი გვაწევს კისერზე და სკოლების ხარჯის გაღება აღარ შეგვიძლიანო.

◆ თელავის მაზრის სოფელ ფშაველის რამდენსამე კომლ გლეხს უთხოვნია უმაღ-ლეს მთავრობისთვის დაუბრუნდეთ ის სა-ბალე და სახლკარი ადგილები, რომელიც ამას წინად ტფილისის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოერთვათ. როგორც გლეხები აცხადებენ, ძალიან ცოტა მიწა ჰქონიათ და ამის გამო ვერ უძლევენ ათას გადასახადს.

◆ ამ ერთი კვირის წინად მთავარ სამ-ხედრო სასამართლოს პეტერბურგში გაურ-ჩევია საქმე გოგო კვაჩაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ბათუმში 7 მაისს სოლოვიანის მაღაზიაზე თავდასხმა. ეს საქმე სამხედრო ოლქის სასამართლოს ბათუმში გაურჩევია და ბრალდებულისათვის ჩამოხრჩობა გა-დაუწყვეტია. მთავარ სასამართლოს განაჩენი გაუუქმებია და კვაჩაძისათვის უვადო კატორღა გადაუწყვეტია.

◆ კვირას, 28 აგვისტოს, გამოვიდა მეო-რე სომხური ყოველ-დღიური გაზეთი „ნორ-დარ“-ი. ეს გაზეთი თითქმის ორი წელიწა-დია სხვა და სხვა მიზეზის გამო არ იბეჭდე-ბოდა. ახალა-კი რედაქცია ჰპირდება ხელის მომწერთ, რომ დღის შემდეგ წესიერად გამოიცემა. რედაქტორად იგივე სპ. სპან-დარიანცია.

◆ [illegible]ევლო-საეკლესიო სკოლების მაზრის მეთვალყურეთა კრება დასრულდა 29 აგვისტოს.

◆ გორის მაზრის სოფელ ოსიაურის გლე-ხებს უთხოვნიათ მთავრობისთვის, სესხი მოგ-ცეთ სასოფლო სამეურნეო ბანკიდან წლის გასასტუმრებლად.

◆ თიანეთის მაზრის სოფელ [illegible] მცხოვრებთ უთხოვნიათ, უფასოდ დაუთმოთ ეგრედ წოდებული ადგილი „გორანი“.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ შულავერის მაცხოვრებლებს შუამდგომლობა აღუძრავთ ნამეს-ტნიკის წინაშე, რომ სახაზინო საძოვარი ადგი-ლები მიეცეთ. ამ გლეხებს საძოვარი ადგილები ძალიან ცოტა ჰქონიათ.

◆ ზუგდიდის მაზრის სოფელ ჯვარიდან გვწერენ რომ აქ ბევრი ავადმყოფია და [illegible] სოფელში, რომელიც 15 ვერსის მან-ძილზე გადაჭიმულა, არც ექიმი, არც ფელდ-შერი არ არის. ხალხი ამის გამო შეწუხებუ-ლია. მაზრის ექიმი მთელ მაზრას ვერ გას-წვდება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სადაც შემთხვევით მივა, იქაც არ ნახულობს ავად-მყოფს. ამას წინად ჯვარში იყო და სთხოვეს ენახა მოხუცი ავადმყოფი ბახუტა კარდავა, მაგრამ უარი სთქვა.

◆ სად. ლიაკი. 28 აგვისტოს, შუადღის 12 [illegible] როდესაც მატარებელი № 21 გაჩერდა, [illegible]რ მირონიკოვს უნდა წარედგინა უბილე-[illegible]ის გადასახადად, მაგრამ ერთმა მგზავრთა-განმა ხანჯალი დაჰკრა, დასჭრა და მიიმალა.

## ქუთაისის ახალი ამბავი

◆ ქუთათურმა გიმნაზიელებმა შემდეგი შინაარსის შუამდგომლობა წარუდგინეს გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს: 1. შემდეგს კლასებში გადასაყვანი ეგზამენი ყველა მო-წაფეს უნდა დაენიშნოს, მაგრამ, ვინც გა-მოცდის დროს ჩაიჭრება, ისიც უნდა გა-დაყვანილ იქმნეს შემდეგს კლასში, მხო-ლოდ იმ პირობით კი, რომ შემდეგში შეისრულოს კურსი და დაეწიოს ამხანაგებს. თუ რომელიმე მოწაფეთაგანი დაარღვევს ამ პირობას, მიცემულ იქმნება სამხანაგო სამართალში. 2. ის მოწაფეები, რომელ-თაც 1905 წლის პირველ ნახევარში სწავ-ლის ფული არ შეუტანიათ, უნდა დაშა-ვებულ იქმნენ საეგზამენოდ სხვა ამხანა-გებთან ერთად და გარდაიხადონ მხოლოდ საეგზამენო ფული, როგორც ექსტერნებს—თითო თუმანი. ეგზამენების გათავების შემ-დეგ ისინი თავის სურვილით უნდა მიღე-ბულ იქმნენ გიმნაზიაში, 3. მოწაფეები უნდა გამოიცადონ, რამდენადაც ეს შესა-ძლებელია, მხოლოდ გიმნაზიაში მეცადი-ნეობის დროს გავლილ კურსიდან, განსა-კუთრებით ლათინურსა და ფიზიკაში. 4. მოწაფეები უნდა გამოიცადონ თავის ამხა-ნაგების თანდასწრებით, და არა ცალ-ცალკე. 5. გერმანულს ენაში სრულიად განთავისუფლებულ იქმნენ ეგზამენებისაგან იმ კლასების მოწაფეები, სადაც წლის გან-მავლობაში ამ ენას არ ასწავლიდნენ მას-წავლებლების უყოლობის გამო. 6. ეგზა-მენების დრო ამგვარად უნდა იქმნეს გან-საზღვრული: ყოველ საგანში საეგზამენოდ მოსამზადებლად მოწაფეებს უნდა ეძლეო-დეთ არა ნაკლებ სამის დღისა; ხოლო რუ-სულს წერაში, მათემატიკის ზეპირში და გეოგრაფიაში კი უნდა მიეცეთ ოთხ-ოთხი დღე. 7. ეგზამენების დროს, სანამ სასწავ-ლებელში ნორმალური მეცადინეობა დაიწ-ყებოდეს, მოწაფეებს პირველ მოთხოვნი-სთანავე უნდა დაეთმოთ გიმნაზიის საქტო დარბაზი, რომ შესძლონ ერთად შეკრება და თავის საჭირო საკითხებზე მსჯელობა, თუ რომ ასეთი საკითხები აღიძვრება. 8. გიმნაზიის საშინაო საქმეებში არავინ უნდა ერეოდეს, როგორც ეს გაზაფხულზე მოხდა.

სწავლის ნორმალური მიმდინარეობა სრუ-ლიად დამოკიდებულია ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. გიმნაზიის მთავრობამ ეს შუამდგომლობა თითქმის სრულიად დააკმაყო-ფილა, რის შემდეგ მოწაფეები დაუბრუნ-დნენ გიმნაზიას და იჭერენ ეგზამენებს.

◆ სამი დღის განმავლობაში ქუთაისში იმართებოდა სახალხო მასწავლებელთა კრე-ბები. მათ შეიმუშავეს სახალხო სკოლები-სათვის ახალი პროგრამა, რომელსაც ძველს პროგრამისაგან ძლიერ დიდი განსხვავება აქვს. ამ პროგრამის მიხედვით, სკოლა უნ-და იყოს საერო, საზოგადო განათლების მიმცემი ორსავე სქესისათვის საერთოდ (ქა-ლები და ვაჟები ერთად უნდა სწავლობ-დნენ), აგებული რეალურს ნიადაგზე. დაწ-ყებითი სახალხო სკოლა უნდა იქმნეს სამ-წლიანი და ხუთწლიანი. თითოეულ საზო-გადოებაში უნდა იყოს ერთი მაინც ხუთ-წლიანი სკოლა, ხოლო სამწლიან კურსით იმდენი უნდა დაარსდეს, რამდენიც საჭი-როა. სკოლაში უნდა ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს: ქართულ ენას, რუსულს, არითმე-ტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, გეომეტ-რიას, ბუნების მეტყველებას, სამართალს, ხატვა-ხაზვას და გალობას. ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს დედა-ენის საშუალე-ბით. სარწმუნოება სკოლაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ვისაც სურვილი აქვს სღვ-თო სჯული ასწავლოს თავის შვილს, მან კერძოდ მღვდელს უნდა მიმართოს.

◆ ქუთაისის საერთაერთო ნდობის სა-ზოგადოების საქმეები, ცოტა არ იყოს, გამოკეთდა. შავი ქვა, რომლიდანაც დიდ ზარალს მოელოდა და რომელიც მთავრო-ბის მიერ დანიშნულ სარევიზიო კომისიის წევრებს 4 კაპ. ჰქონდათ დაფასებული, ბანკის გამგეობამ $8^1/_2$ კაპ. გაასაღა ფუთი, რამაც ჩვენი ვაჭრები უცბად გამოაფხიზლე-ნენ.

◆ 27 აგვისტოს, ქალაქის თეატრში, ქუ-თაისის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღო-ლის თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარე-ობით დაიწყო ხსენებულ მაზრის მიწად-მფლობელთა კრება, რომელსაც უნდა ამო-ერჩია წარმომადგენლები სამაზრო და სა-გუბერნიო საქმეებში. დილის 10 საათიდან თეატრი ისე გაივსო საზოგადოებით, რომ არც ძირსა და არც ზევით ტევა აღარ იყო. შეკრებილიყვნენ ყოველ წოდების, სა-რწმუნოების, პროფესიის, სქესისა და ასა-კის წარმომადგენლნი. ყველას ნება ჰქო-ნდა თავისუფლად ელაპარაკნა კრებაზე და თავისი აზრი გაეცნო საზოგადოებისთვის, თუმცა ზოგიერთები,—სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ—მოწინააღმდეგეთ არ აძლევ-დნენ ლაპარაკის ნებას. კრებას უნდა ამო-ერჩია სულ 14 წარმომადგენელი, რომელ-თაგან 6 წარმომადგენელი უნდა ამოერ-ჩიათ სხვილ მემამულეებს და 8 წვრილ მე-მამულეებს. 27 აგვისტოს არჩევნები ვერ მოხდა, რადგან მთელი დრო გაცხარებულ კამათს მოუნდა შესახებ იმისა, თუ რამდე-ნად სასარგებლო იქნება ჩვენთვის საერო-ბო დაწესებულებათა შემოღება. საზოგადო-ების ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ, თუმცა ერობის შემოღება ჩვენს მრავალ-გვარ სატკივარს ვერ განკურნავს, მაგრამ „სულ არაობას ცალი უღელი ხარი სჯო-ბიაო“, და საჭიროდ სცნობდა წარმომა-დგენლების არჩევას. საზოგადოების მეორე ნაწილი კი სრულიად წინააღმდეგი იყო ერობის შემოღებისა.

28 აგვისტოსაც ნაშუადღევის მეორე საათამდის საზოგადოების საკამათო ისევ წი-ნა დღის თემა იყო. ბევრი კარგი, აღ-ფრთოვანებული, გაბედული და გულწრფე-ლი სიტყვა წარმოითქვა, რომელმაც ბევრი „ვაშა“ და ტაშის ცემა დაიმსახურა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ-მა ორატორმა ერთი და იგივე ჩაზეპირებული სიტყვა რამდენჯერმე გაიმეორა და რა-მდენჯერმე გამოიწვია „ვაშა“ და ტაში. მეორე საათზე, როგორც იყო, დაუდგეს ყუთი მსხვილ მემამულეების წარმომადგენ-ლებს. დაიდგა სულ ექვსი ყუთი. არჩევ-ნებში მონაწილეობას იღებდა სულ 10 სხვილი მემამულე. ერთხმად არჩეულ იქმნენ: თავ. დ. ო. ნიჟარაძე, თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, თავ. დ. ა. მაჭავარიძე, თავ. ვლადიმერ მიქელაძე, დ. ზ. მეღვინე და ვ. ი. ჰილაძე.

წვრილ მემამულეთა წარმომადგენლების არჩევნები შემდეგ დღისათვის გადაიდო. 29 აგვისტოს თეატრს კიდევ მეტი ხალხი მოაწყდა, ვიდრე წინა დღით. დაუსრულე-ბელი კამათი და ყვირილი გამოიწვია ერთი კაცის კანდიდატურამ, რომელსაც თურმე ქუთაისის საარჩევნო ცენზი არა ჰქონია, სხვა მაზრაში-კი არ უნდოდა კენჭის ყრა. საზოგადოების ერთი ნაწილი დაჟინებით თხოულობდა, რომ დაედგათ ყუთი ამ კან-დიდატისთვის. თავმჯდომარე და საზოგა-დოების მეორე ნაწილი შეუძლებლად სცნობდნენ ამ მოთხოვნილების დაკმაყო-ფილებას, რადგან წესდების (ინსტრუქციის) ძალით ამის ნება არა გვაქვსო. კამათი და ხრიალ-ხრიალი ნაშუადღევის პირველ საა-თამდის გაგრძელდა. პირველ საათზე-კი თავმჯდომარე იძულებული გახდა კრება შეეწყვიტა და თეატრიდან გასულიყო. ამ გვარად წვრილ მემამულეთა წარმომადგენ-ლების არჩევა ვერ მოხერხდა.

◆ ქალაქის საბჭოს სხდომები 5 სექტემ-ბრიდან დაიწყება. 5 სექტემბერს საბჭოს ბევრი მეტად სერიოზული საკითხი აქვს განსახილველი.

◆ 28 აგვისტოს სილაზე ხანჯლით მძი-მედ დასჭრა შტატ გარეშე მყოფი მღვდელი კიმოთე გიორგაძე იმისავე ძმის წულმა მე-დავითმა.

◆ იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი ოზუ-რგეთს წავიდა სამღვდელოების კრებებზე დასასწრებლად.

◆ 29 აგვისტოს, სილაზე, გეგუთის ქუჩაზე მცხოვრებს პროვიზორს პარმენ ჭეიშვილს საღამოს ათ საათზე თავს დაესხა ექვსი შეიარაღებული კაცი: ასტეხეს თოფების სროლა, მაგრამ ვერაფრის წაღე-ბა ვერ მოასწრეს, რადგან პოლიცია დროზე მივ-იდა. შეიპყრეს ორი კაცი.

◆ 23 აგვისტოს ქალაქის საბჭომ ბ-ნ გუბერნა-ტორის წინადადებით ხელმეორედ განიხილა მეფურ-ნეების თხოვნა პურის ნიხრის მომატების შესახებ და უცვლელად დასტოვა ამასწინდელი დადგენილე-ბა, რომლის ძალითაც სამისავე ხარისხის პურს ემა-ტება ყოველს ოყაზე თითო კაპეიკი.

◆ ამ ერთი წლის წინად ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიას, საგუბერნიო ინჟინერ-ტეხნი-კოსების თანადასწრებით, დაუთვალიერებიათ ეგრედ წოდებული „ჯაჭვის-ხიდი“. კომისიას დაუდგენია ხიდზე ეტლების მოძრაობა ეხლავე აიკრძალოს და ქალაქმა დაუყონებლივ შეაკეთოსო. ამის შემდეგ განვლო ერთ წელზე მეტმა და კომისიის დადგენილება სრულიად დაუვიწყნიათ.

## დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**, 28 აგვ. „ნოვ. ვრ.“ იუწყება, რომ მოსკოვში 12 სექტემბერს დაიწყება ერობისა და ქალაქის მოღვაწეთა კრებაო.

„რუს“-ის სიტყვით, მოსკოვში მისულა ცნობილი მწერალი და მეცნიერი მაქსიმ კოვალევსკი.

როგორც ისმის, გრაფ სოლსკის თავმ-ჯდომარეობით შემდგარი განსაკუთრებული საბჭო მალე შეუდგება მინისტრთა კაბინე-ტის საკითხის განხილვას. ფინანსთა მი-ნისტრმა განცხადება შეიტანა. იგი წი-ნააღმდეგია კაბინეტისა და წინადადებას იძლევა გაძლიერონ უფლებანი მინისტრთა კომიტეტისა.

„სლოვო“ იუწყება, რომ ერთმა კაცმა, რომელიც გვარს არ ამხელს, მაქსიმ კო-ვალევსკის გადასცა 50,000 მანეთი თავი-სუფალ უნივერსიტეტის დასაარსებლადაო.

როგორც „რუს“-ი გადმოგვცემს, გრაფ სოლსკის საბჭოში შინაგან საქმეთა მი-ნისტრს განუცხადებია, რომ შევუდექი ახალ წესების შემუშავებასაო. ამ წესების ძალით პრესას დიდი უფლება ეძლევა იმ საკითხების განხილვის დროს, რომელიც ეხება არჩევნებს სახელმწიფო სათათბიროში. ამ წესებს და საარჩევნო კრებათა წესებს ერთ დროს გამოაქვეყნებენ. განზრახულია ახალ საცენზურო წესდებაში დასტოვონ ეხლანდელი წესი ჟურნალ-გაზეთების გა-მოცემის ნება-რთვისა. დარჩება აგრეთვე ის წესი, რომლის ძალითაც ადმინისტრა-ციას უფლება აქვს არ დაამტკიცოს რე-დაქტორი. სახელმწიფო საბჭოს ბევრი წევრი წინააღმდეგია ამ უფლებისა, საჭი-ქრებელია, რედაქტორის დანიშვნის საქმეში შემოიღონ განცხადებითი წესი. განათლე-ბის ცენზი სავალდებულო იქნება რედაქ-ტორთათვის. საბჭო გრაფ სოლსკის თავმ-ჯდომარეობით შეუდგა იმ პროექტის შე-მუშავებას, რომელიც ეხება კერძო კრების თავისუფლებას. ამ პროექტით, პოლიციას უსათუოდ წინ და წინვე უნდა წარედგი-ნოს კრების პროგრამა. ამას გარდა კრებას უნდა დაესწროს პოლიციის წარმომადგე-ნელი.

„ბირჟ. ვედ.“ იუწყება, რომ ახალი საუნივერსიტეტო წესდება უნივერსიტეტებს დაეგზავნა განსახილველადაო.

**პეტერბურგი.** როგორც გაზეთ „რუს“-ს გაუგია, ბეჭდვით სიტყვის გადამეტებულის შევიწროებისა და განსაზღვრისაგან განთა-ვისუფლებასთან ერთად, ადგენენ პროექტს ცენზურის საქმის ახლად მოსაწყობად. ბეჭ-დვითი საქმე სრულიად გამოირიცხება შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობისაგან. ბეჭდვის საქმის მთავარ გამგეობას მიეცემა დამოუკიდებელი უფლებები განსაკუთრე-ბულ დაწესებულებისა. ბეჭდვით სიტყვის საქმეების შესახებ საბჭო სახელმწიფოში იყოფა ბეჭდვით საქმის შესახებ ოლქებად. წინასწარი ცენზურა ყველა გამოცემებისა საერთოდ გაუქმებულ იქნება.

„სლოვო“ იუწყება, ამნისტიის შესახებ საკითხს ცალკე რჩევა განიხილავსო. თვითონ აქტი ამნისტიის შესახებ-კი გამოიცემა ოქ-ტომბერს ან ნოემბერშიო.

„ნოვოე ვრემია“-ს აზრი ბაქოს არეულო-ბის შესახებ შემდეგია: „ყველაზედ შესანი-შნავია—ამბობს გაზეთი—ის არის, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობა სრულებით არ მოელოდა ამისთანა ამბებს. მიუხედავად იმისა, რომ ნათეის მრეწველთ არა ერთხელ გააფრთხილეს ადმინისტრაცია, უკანასკნელი ყურსაც არ იბერტყდა. მას ცრუ წარმოდ-გენა ჰქონდა კავკასიის მდგომარეობაზე და ამგვარად გაგებულ სინამდვილეზე დამყარე-ბული თვალთახედვის ისარი ხელმძღვანელად გაიხადა, მაგრამ ამაოდ. ამგვარად საქმის ვითარების წარმოდგენა აღარ დარჩა საკმაო მშვიდობიანობისა და წესიერების აღსადგე-ნად. ვორონცოვ-დაშკოვის მშვიდობის მყო-ფელი პოლიტიკა—განაგრძობს გაზეთი—დამყარებულია ძლიერ ჰუმანიურსა და პრო-გრესიულ საფუძველზე, მაგრამ იგი სრულე-ბით არ შეესაბამება ადგილობრივ მკვიდრთა ხასიათსა და კულტურულ განვითარებას. ერთად ერთი მხსნელი კავკასიისა ეს რუსეთის მთავრობის ძალაა, რომლის შემწეობით შეიძლება კავკასიაში მშვიდობიანი ცხოვრება სხვა და სხვა ნაირ ტომის ერთა შორისო“.

„პეტერბ. ვედომოსტი“-ც ყურადღებას აქცევს კავკასიის ამბებს და მათაც საჭი-როდ მიაჩნიათ ენერგიულისა და უკიდუ-რესის ზომების მიღება მტკიცე წესიერე-ბის ჩამოსაგდებად. განათლებულ სახელ-მწიფოს არ შეუძლიან მოითმინოს, რომ ნაციონალურ მტრობის გულისთვის ზო-გიერთი მისი ქვეშევრდომი ერი კადნიერად სთელავდეს ფეხ-ქვეშ კაცთმოყვარეობ-ისა და კულტურის ძირითად კანონებს და ვერ მისცემს ნებას, რომ ფანატიკოსთა და უგონოთა ბრბოები ანადგურებდნენ თავი-ანთ სიმდიდრის უმთავრეს წყაროებსო.

## ს ო ფ ლ ა დ

**კახეთი.** თელავის მაზრის თ.-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა 25 აგვისტოს თელავში მოიწვია მაზრის მემამულენი, სავაჭრო სამრეწველო დაწე-სებულებათა პატრონნი და მესაკუთრე გლე-ხები, რიცხვით 5 ათასამდე კაცი, საწი-ნადაწინო სამაზრო საბჭოში წარმომადგენე-ლთა ამოსარჩევად. გამოცხადდა მოწვე-ულთა ნახევარზე ცოტა ნაკლები. უმრა-ვლესობამ არ იცოდა, რისთვის იყო და-ბარებული და ერობისა არაფერი გაეგე-ბოდა. არჩევანი სამხედრო საკრებულოს ეზოში დაიწყო 25 აგვისტოს. განაგებდნენ თვით მარშალი თავ. ჩოლოყაშვილი და გან-გებ მისთვის არჩეული ორი მდივანი გ. ალ. ყაზახაშვილი და ეს. მ. პაატაშვილი. აქვე იყვნენ თელავის მხრიდან არჩეული ორი კაცი და სახაზინო გლეხთაგან—32. კიდევ უნდა აერჩიათ მსხვილ მემამულეთაგან 6 კაცი და წვრილ—10. სულ სამაზრო საბჭოში მონაწილეობას მიიღებს 31 კაცი, ხოლო სა-გუბერნიოში უნდა გაიგზავნოს—6.

პირველად წინამძღოლი მიესალმა ხალხს მოკლე სიტყვით, გააცნო ერობა, მისი მნი-შვნელობა და ბოლოს დასძინა, რომ ამას იქით ჩვენ. ე. ი. ხალხის ხელში იქნება ჩვენივე საქმე, პოლიციას და სხვას არავითა-რი საქმე არ ექნება და ჩვენ თავს ისე მოვუვლით როგორც ჩვენ გვინდაო. ერთმა სახაზინო გლეხთაგან ამორჩეულმა სთქვა, რომ ხალხი სრულებით არ იცნობს ერო-ბას. ამისათვის ჩვენ ნება გვქონდეს, რომ სოფლებში ყრილობა მოვახდინოთ ამის გასაცნობად, ამას სურავინ დაგვიშლის და

ნურც მამასახლისები დაესწრებიანო. შემდეგ შეუდგნენ სიების გადაკითხვას, ვინ გამოცხადებულიყო და ვინ არა. ნამესტნიკის ინსტრუქციის ძალით სახაზინო გლეხთაგან წარმომადგენლად 13 კაცი უნდა იყოს, ნამდვილად-კი 32 კაცი აერჩიათ. ასეთი შეცდომა იმიტომ მომხდარა, რომ თითო სოფლის საზოგადოებიდან თითო წარმომადგენელი უნდა აერჩიათ. წინად 13 საზოგადოება ყოფილა, ეხლა კი თელავის მაზრა 32 საზოგადოებად დაუყვიათ და ასევე ამოურჩევიათ. ამორჩეულთ განაცხადეს, რომ ჩვენ ჩვენი სოფლებიდან ვართ ამორჩეულნი და ყველამ აუცილებლად მონაწილეობა უნდა მივიღოთ, თორემ ზოგი რომ წავიდეთ, სოფელი არ გვიყაბულებს, ჩვენ ინტერესებს ვიღა დაიცავსო, ამის გამო ან ყველამ უნდა მონაწილეობა მივიღოთ, ან არა და უკანვე წავალთო. ამის შესახებ მაშინვე დეპეშა გაგზავნეს გუბერნატორთან. სიების გადაკითხვას მთელი დღე მოუნდნენ და არჩევანი მეორე დღისთვის გადაიდო.

მეორე დღეს ამომრჩეველნი ორად გაიყვნენ, მსხვილ და წვრილ მესაკუთრეებად. მსხვილი მემამულენი დარბაზში ავიდნენ ამოსარჩევად, წვრილნი გარედ დარჩნენ. ამორჩევის წინ მიქელაძემ ხალხისაგან სთხოვა მარშალს, რადგან ხალხი მოუმზადებელია, ამისათვის ერთი საათი დრო მოგვეცით ჩვენი კანდიდატების დასასახელებლად და მერე ამოვირჩევთო. მარშალმა ამის ნება დართო, თუნდ 2—3 საათი მოანდომეთ, მხოლოდ შესაფერი კანდიდატები დაასახელეთო. მთელი ხალხი საზოგადოებებად დაიყო, დაასახელეს კანდიდატები და შემდეგ საერთოთ ერთხმად ამოირჩიეს წვრილ მესაკუთრეთაგან 10 კაცი: ე. მიქელაძე, ი. ზარაფიშვილი, ე. დანდუროვი, ს. მათიკაშვილი, კ. ყაზახაშვილი, გ. მარგველაძე, მ. ქლენტი (ინტელიგენტები), ს. მთვარელიშვილი (მღვდელი), ს. სუხიტაშვილი (ხელოსანი) და ხ. ლაზარიაშვილი (გლეხი). მსხვილ მესაკუთრეთ ამოირჩიეს ექვსი: თ. ვ. მ. ჭავჭავაძე (მარშლის თანაშემწე), თავ. ყუაშვილი (გენერალი), დ. აპელიშვილი, ალ. მაყაშვილი, თ. ს. ქობულაშვილი და ზ. ჯაფარიძე (მემამულენი). რადგან წინა დღეს გაგზავნილ დეპეშის პასუხი არ მოვიდა და საბჭო უნდა დაწყებულიყო, ამისათვის მარშალმა სთხოვა სახაზინო გლეხთა წარმომადგენლებს, ამოირჩიეთ თქვენგან 13 კაცი, ამათ გადამწყვეტი ხმა ექნებათ, მხოლოდ რადგან თქვენც ამორჩეულნი ხართ, დაესწარით სათათბირო ხმითაო. ასეთ წინადადებაზე დასთანხმდნენ და 13 კაცი აირჩიეს: მ. ვერმიშევი, ვ. კოლელიშვილი, ნ. მარკოზაშვილი (ინტელიგენტები), და გლეხნი: ბაბაშვილი, ჩიბაშვილი, ზუბიტაშვილი, კახაშვილი, ციხისტაშვილი, პაიჭაშვილი, ქევხიშვილი, ჩარბაძე, გავარდაშვილი და ილიაზე-არაზოღლი, ბოლოს ერთმა წარმომადგენელმა ხალხის მხრიდან მიჰმართა მაზრის წინამძღოლს და აუწყა მათი გაჭირვება, დასძინა, რომ სტრაჟნიკების შემოღებით არა თუ მოისპო ქურდობა, არამედ უფრო გამრავლდა, წინანდელი ჩაფრები სოფლებში ქალამნებს მაინც ატარებდნენო. სთხოვა, გადაეცა, ვისთან ჯერ არს, რომ მიმოსვლა საშიშო გახდა, გზებზე უხვდებიან ბოროტგანმზრახველნი და სძარცვავენ, ამისათვის უეჭველად ამ სტრაჟნიკებმა ყოველთვის ასეთ ალაგას იარონ ხოლმე, რათა მგზავრობა უზრუნველჰყონ, თუ არა და მოგვეცით ნება ან იარაღი შევიძინოთ ან ჩვენი მილიცია დავაარსოთ, რომ თავისუფლად წავიდ-წამოვიდეთო.

---

**ქიზიყი.** თანამედროვე ცხოვრების შუქი თანდათან ეჩნევა ქიზიყს. დაიწყო ერობაზედ ლაპარაკი. ხალხი ეჭვის თვალით უცქერის იმათ სიტყვებს, ვინც ამბობს, რომ ერობას შეუძლიან საზოგადო იარების განკურნებაო, ჯერ-ჯერობით სადაც-კი მოხდა კრება ერობის შემოღების და წარმომადგენელთა არჩევნებისა გამო, ხალხში ყველგან ერთი და იგივე ხმა გაისმოდა—სანამ სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა არ მოგვეცემა, ხალხს არაფერი დააკმაყოფილებსო. ხალხი ირჩევს სანდო პირებს იმ აზრით, რომ წარმომადგენლებმა უკანასკნელად აღიარონ ქვეყნის წინაშე ხალხის გულის კვეთება, მისი ცხოვრების იარები. არჩევნების დროს ზოგან არ იშლიან ძველებურ ხრიკებს და უნდათ საქმე გააჭიანურონ, თუ ვინიცობაა ამორჩეულ იქნა მათი შეხედვით არა სასურველი პირი, მაგრამ მათი ფხაკური უმნიშვნელოდ რჩება და კრებიდან აძევებენ სოფლის ბიუროკრატიის ამ პაწაწინა კუდებს.

21 ამ თვეს სიღნაღის მაზრის მასწავლებლებს ჰქონდათ კრება სკოლის საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ. თუმცა სიღნაღის მაზრაში ორმოცამდეა მასწავლებელი, მაგრამ კრებას თორმეტიოდე კაცი დაესწრო. კრებამ დაადგინა, არ დაიწყონ სწავლა მომავალ ენკენისთვიდან.

19 აგვისტოს რევოლვერით მოჰკლეს სიღნაღის მიმავალი ზაქათალის სატყეო ნაწილის გამგე კლიმენკო. ერთმა მკვლელთაგანმა თავა უშველა გაქცევით, ხოლო მეორე შეიპყრეს „ენატანიის“ წყალობით. მაგრამ ეს „ენატანია“ სიღნაღში სასიკვდილოდ დასჭრა შეპყრობილის ერთ-ერთმა ამხანაგმა, თუმცა ეს უკანასკნელი ჩხუბის დროს „მატანიამ“ დასჭრა და რამდენსამე საათის შემდეგ გარდაიცვალა. დიდის ამბით დაასაფლავეს გარდაცვალებული. კუბოს ამკობდა წითელი ლენტიანი გვირგვინები შესაფერი წარწერით.

**მგზავრი**

# პრესსა

კვირას გამოვიდა პირველი ნომერი ახალი სომხური გაზეთის „არშალუისისა“, რომელიც თავის professiou de foi-ს ასე გვაცნობებს მეთაურის წერილით:

> „... „არშალუისი“ ეცდება მუდამ სიმართლის გზით იაროს, სინიდისიერება დაიცვას და მაღლა დაიჭიროს სხვადასხვა ერთა შორის სოლიდარობის დროშა“.
>
> „გაზეთი შორს იქნება კერძო და ბნელ მისწრაფებათაგან და ყოველთვის თვალ წინ ექნება აზრი, რომ პრესსა საზოგადოებრივ ინტერესების დამცველია და არა რაიმე კერძო ანგარიშების ასპარეზი...
>
> „არშალუისი“ ეცდება ცხოვრების საჭიროებათა მიხედვით მიაწოდოს სომხის მკითხველს ისეთი გონებრივი საზრდო, რომელიც იმას გაუადვილებს შეგნებული თანაგრძნობა გაუწიოს ცხოვრების მიმდინარეობას და გაუკაფოს სომხის ერს გზა საკეთილ-დღეო და საბედნიერო მომავლის მისაღწევად...
>
> „არშალუისი“ ეცდება დაამყაროს კავშირი სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ სომეხთა შორის და გააცნოს ურთიერთს მათის ცხოვრების პირობები...
>
> „მუშათა მდგომარეობას და კითხვას, რომელიც განსაკუთრებითს ინტერესს წარმოადგენს, „არშალუისი“ ყოველთვის დიდს ალაგს დაუთმობს და ეცდება გამოარკვიოს იმათი ჭეშმარიტი და კანონიერი საჭიროებანი...
>
> „შეძლების დაგვარად ვეცდებით, შევაერთოთ ძალები, შევკრათ, შევბოჭოთ ერთად და საერთო ძალღონით გავწიოთ მომავალ ბედნიერებისაკენ, მაღლა დავიჭიროთ კაცობრიულის, თავისუფალ აზროვნების და განათლების თავისუფალი დროშა. აი, ეს იქნება „არშალუისის“ მიზანი და მისწრაფება“...

ახალის სომხურის გაზეთის მიმართულება, როგორც მკითხველი ჰხედავს, მეთაურ წერილში საკმაოდ გამორკვეული არ არის, დრო-კი სწორედ ისეთია, რომ მეტი აზრის გარკვეულობა და სიმტკიცეა საჭირო. რამდენადაც სჩანს, გაზეთი ლიბერალურ მიმართულებისა იქნება; ვნახოთ, როგორ პირნათლად აასრულებს ის პრესსის მძიმე მოვალეობას.

# რუსეთის ქრონიკა

**გენერალი სტესელი პასუხის გებაში.** „რუს. სლ.“-ს და „ნოვი კრაი“-ს სამხედრო კორესპონდენტს ნოჟინს პასუხის გებაში მიუცია გენ.-ად. სტესელი ცილის წამებისათვის. ცილის წამება ისაა იმაში, რომ სტესელს დეპეშით უთხოვნია წიფუში ადგილობრივ კონსულისათვის, რომ დაეჭირათ ნოჟინი, როგორც ჯაშუში, მაგრამ ნოჟინს თავის მეცადინეობით და მუქარით, რომ სანოვარს აღუძრავ უბრალოდ დაჭერისათვისაო, თავი დაუღწევია დაჭერისათვის. ნოჟინი თურმე სტესელის ნებადაურთველად გადასულა პორტ-არტურიდან წიფუში ნავმოსან „რასტოროპნით“ და ამისათვის შეუწამებია სტესელს ჯაშუშობა. („რ. გაზ.“).

**საქმე აგრარულ მოძრაობის შესახებ.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატა მალე დვინსკში გაარჩევს ხუთ აგრარულ მოძრაობის საქმეს, დვინის მაზრაში მომხდარს ამ წლის გაზაფხულზე. ბრალდებულთა რიცხვი 500 კაცია, რომელთაგან 40 დაჭერილია; მოწმედ ათას კაცზე მეტია თურმე დანიშნული. („რ. გ.“).

**ფაბრიკა-ქარხნების პატრონთა საკუთარი გაზეთი.** „სლოვო“-ს მიერ გადმოცემულ ნამდვილ ცნობებით, მოსკოვში მომხდარა ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელთა კერძო კრება-თათბირი, რომელზედაც გადაუწყვეტიათ დაარსონ საკუთარი გაზეთი; გამოანგარიშებით ამ გაზეთს პირველად დასჭირდება 375,000 მან. ამ თანხის შედგენა განუზრახავთ ერთ დროულად საწევრო ფულის შეტანით. („რ. გაზ.“).

**ჯარის დარჩენა შორეულ-აღმოსავლეთში ომის შემდეგ.** პეტერბურგში ხმა გავრცელებული, რომ შორეულ აღმოსავლეთის სალდათები ზავის ჩამოგდებისა და ომის გათავებისთანავე ვერ დაბრუნდებიან სამშობლოში. ამბობენ, მთავრობამ გადასწყვიტა გაანაწილოს ჯარი ახალ გეგმაზედ რუსეთის საზღვრების დასაცველად. ომის დაბოლოების შემდეგ საზღვრები ისე სურთ გაამაგრონ და იმდენი ჯარი დააყენონ იქ, რომ შემდეგში ვეღარავინ გაბედოს რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედება.

## ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
31 აგვისტო

**მოსკოვი.** რუსეთის ყველა ერობათა წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს მოხსნან ყველა რაზმები ომის ასპარეზზე და, რაც შეძლება აქვთ, სიმშილისაგან დაზარალებულთ დაეხმარონ.

**ბაქო**, 30 აგვისტო. გუშინ, საღამოს 10 საათზე არტილერიამ დაანგრია ზეიცის სახლი ბარიატინსკის ქუჩაზე. ტრამვაიმ ნაახლო მუშაობა. ცხოვრება ქალაქში ჩვე ლებრივ კალაპოტში დგება. თუმცა დღე ლამობით კიდევ გაისმის სროლა. შერიგ არ მოხდა. მაღაზიები დახურულია. ვაჭრ არაა. საზრდო დიდის გაჭირვებით მოდის

**შანხაი.** პორტ-სმუტის მოლაპარაკე დროს მიკადომ მიმართა იამაგატეს კითხვ შეიძლება თუ არა ლინევიჩის ჯარების გა დგურებაო. იამაგატამ 12 დღე დაჰყო ო მასთან დი ანგარიში წარუდგინა მიკადო რომ ძნელია საბოლოო გამარჯვებაო რობენ, რომ ეს უდევს საფუძვლად მიკადო მიერ ხელშეკრულობის პირობებზე დათა ხმებასაო.

**ბუდაპეშტი.** ფეიერვარი სამსახურიდ გავიდა.

**კიევი.** თავად-აზნაურთა წინამძღოლთ ზოგიერთ მემამულეთ გადასწყვიტეს, სახე მწიფო სათათბიროში კანონიერებისა პროგრესის წარმომადგენელთა ბანაკში მო ქცნენ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
30 აგვისტო

**ნიუ-იორკი.** ზავის ჩამოგდების სახსო რად ვიტტემ ჩარგო ვაშინგტონის საფლა ზე კოპიტი, რომლის შტოებს შემდეგ რუსეთში გამოჰგზავნიან.

**პეტერბურგი.** გაზეთების ცნობით „ნოვო ვრემია“-ს კორესპონდენტს გენერალ სვე ლოვთან ერთად მოუარნია ნავთის გად მწვარი რაიონები და პეტროვსკიდან იუ ყება ტელეგრაფით, საზოგადო ზარალ 80 მილიონს აღემატებაო. ბევრი სამრ წველო გადარჩენილა. „გრაჟდანინ“-ის გა მომცემელი თავ. მეშჩერსკი, „ნაშა ჟიზნ“-ის სიტყვით, გამორიცხულ იქნა საერო განა ლე]ის სამინისტროსაგან, სადაც ავერ 3 წელიწადია ირიცხებოდა. „სინ ოტეჩეს ტვა“-ს სიტყვით „მოსკოვსკია ვედომოსტი ილოვაისკის ხელში გადადის. „ბირჟ ვედომოსტი“-ის სიტყვით ფინანსთა სამი ნისტრო იხილავს საკითხს საგლეხო ბანკებ მიერ პროცენტების შემცირების შესახებ რათა საგლეხო საკუთრება გაფართო ბულ იქნას.

**ნიუ-იორკი**, 30 აგვისტო. ვიტტე წა ვიდა დღეს დილით, მიმართა რა ამერიკ ხალხს მადლობის წერილით კარგად გამას პინძლებისათვის. კომურა ავადაა. ვიტტ ტაკახირამ მიიღო წასვლისას.

**ნიუ იორკი.** ვიტტე შერბურგში გად მოვა გემიდან და პარიზს წავა, სადაც რუ ვიეს ინახულებს, შემდეგ-კი პეტერბურგ წავა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადა

# განცხადებანი

**სახელოსნო სასწავლებელი ა. მირიანოვისა და ნ. ბერიევისა**, გადატანილ იქმნა კარგად მოწყობილ ახალ შენობაში გონჩარნი ქუჩიდან ავჭალის ქუჩაზედ № 19, სახ. ზალიევისა. ვასწავლით საუკეთესო ხელოვნებას და წიგნებითაც გავდივართ საჭირო საგნებს, ვიღებთ საცხოვრებლად ქალებს. (3—336—2)

## სასწავლებელი და პანსიონი

გიმნაზიაში მასწავლებლად ნამყოფის ეკატ. ივ. რობუტოვსკისა.

მივიღებ მოსწავლეებს ორთავე სქესისას მოსამზადებლად ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებელში. ვასწავლი ახალ ენებს და მშობლიურსაც, მშობელთა სურვილისამებრ. სწავლა იწყება 1-ლ სექტემბრიდან.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა. სახ. № 74.

Состоящіе въ вѣдѣніи министерства финансовъ

## БУХАЛТИРСКІЙ КУРСЫ

Н. В. Абраамяна, въ Тифлисѣ,

автора „Руководства торговой, фабричной и нефтепромышленной бухгалтерій“, учатъ и подготовляютъ лицъ обоего пола въ 4 мѣсяца, путемъ практики бухгалтеріи и др. коммерч. специальн. предметамъ.

Преподавателями на курсахъ приглашены лица съ университетскимъ образованіемъ и специалисты своего дѣла, утвержденные учебнымъ отдѣломъ министерства финансовъ, а также по каллиграфіи каллиграфъ-художникъ.

Пріемъ съ 5 до 7 ч. вечера. Начало занятій съ 15-го сентября 1905 г. ежедневно по послѣ обѣдамъ, съ платою по 60 р. за полный курсъ. По окончаніи выдается установленный аттестатъ, разрѣшенный г. министромъ финансовъ.

Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые пополнительные и повторительные курсы рускаго языка и ариеметики. Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: Николаевская, 46, Телефонъ 744. Правила и программы высылаются безплатно. (10—2)



1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ [illegible] ლოშის ძირის ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის ფაბრიკის ნიშნის „1860“ და [illegible] „С.-Петербургъ“ ნიშნით სამკუთხედ (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდად [illegible] აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიმანი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, [illegible], ხარკოვს, ირკუტსკს, ოდესაში და ტფილისში.

## ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო საგაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსისა), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებსა.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანეთი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, ალ. ზ. ხაათაშვილს, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.

(14—13) ალ. ზ. ხაათაშვილი.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია; 2) საკომერციო არითმეტიკა; 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი; 5) საკომერციო მიწერ-მოწერა; 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი; 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევის და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღე. (4—1)

Доз. цен. Тифлисъ, 30 Августа 1905 г.

Поч. Груз. Изд. Т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა